

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტი



ბესიკ კვაჭანტირაძე

„სახელმწიფოს მმართველობითი და მარეგულირებელი ფუნქციები
ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირებაში - ევროპული გამოცდილება“

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ბსუ-ს პროფესორი რეზო მანველიძე

ბათუმი 2024

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბესიკ კვაჭანტირაძე

შინაარსი

| | |
|---|-----|
| <i>ტერმინთა განმარტება</i> | 4 |
| <i>შესავალი</i> | 6 |
| <i>თავი I. ეკონომიკის მართვის და რეგულირების მექანიზმების განვითარების ეტაპები საქართველოში</i> | 10 |
| 1.1 სამეწარმეო და შრომითი ურთიერთობები..... | 10 |
| 1.2. საგადასახადო და საბაჟო სისტემები..... | 25 |
| 1.3. საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები..... | 36 |
| <i>თავი II. ბიზნესგარემო და მის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები. უცხოური გამოცდილება</i> | 45 |
| 2.1 ბიზნესგარემოზე მოქმედი გარე ფაქტორები..... | 45 |
| 2.2. ბიზნესგარემოზე მოქმედი შიდა ფაქტორები..... | 56 |
| 2.3. ევროპული გამოცდილება ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირებაში..... | 61 |
| <i>თავი III. ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირების მთავარი პრინციპები საქართველოში</i> | 80 |
| 3.1 ევროკავშირთან თანამშრომლობა ბიზნესის ინფრასტრუქტურის ფორმირებაში..... | 80 |
| 3.2 სრულყოფილი ბიზნესგარემოს ფორმირების სირთულეები და კოვიდ პანდემიის გავლენა 90 | |
| 3.3 სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და განვითარების სტრატეგია..... | 98 |
| <i>გამოყენებული ლიტერატურა</i> :..... | 115 |

ტერმინთა განმარტება

- **რეპო-** ფასიანი ქაღალდების გაყიდვა შემდგომში იმავე ან მსგავსი ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან ყიდვის (გამოსყიდვის) ვალდებულებით.
- **DCFTA (The Deep and Comprehensive Free Trade Areas)-** ევროკავშირსა და საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის შექმნილი სამი თავისუფალი სავაჭრო ზონა. DCFTA არის თითოეული ქვეყნის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ნაწილი.
- **ინკლუზიური ზრდა-** ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მოდელი, რომელიც ითვალისწინებს: ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას და ზრდის შედეგების რაც შეიძლება უფრო ფართო განაწილებას.
- **OECD (Organisation for Economic Co-operation and Development)-** ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.
- **GIZ (German Agency For International Cooperation)-** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება.
- **SME -** მცირე და საშუალო საწარმოები
- **Floating Exchange Rate** (მცურავი გაცვლითი კურსი) - ერთი ქვეყნის ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტასთან კურსის დადგენის თავისუფალი რეჟიმი. ასეთ დროს, ვალუტის გაცვლითი კურსი სავალუტო ბაზარზე ვალუტების ყიდვა-გაყიდვით დგინდება. რადგან ვალუტის კურსი ცვალებადია და ფიქსირებული არ არის, ამიტომ უწოდებენ მას მცურავს.
- **ADaPT program** - კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს შორის.
- **Leonardo program** - ევროკავშირის პროგრამა, რომელიც კიბერუსაფრთხოების უნარების აკადემიის პროექტის ფარგლებში, მიზნად ისახავს პროაქტიულად აღმოფხვრას კიბერუსაფრთხოების ხარვეზი, რომელსაც ევროპის შრომის ბაზარი განიცდის
- **IFC** - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

- **GSP+ (Generalized Scheme of Preferences Plus)** - ევროკავშირის პრეფერენციების განზოგადოებული სქემა განვითარებად ქვეყნებში მდგრადი განვითარების სტიმულის მისაცემად.
- **ჯინის ინდექსი** - წარმოადგენს მონაცემების გაფანტულობის საზომს. ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც პოპულაციის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომი.
- **Growth Diagnostic Method** - ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდი გადაწყვეტილების მიღების ვერტიკალის მეშვეობით ადგენს ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორებს.
- **WTO** - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.
- **GSP** - პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა აშშ-სთან.
- **CIS** – თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფო თანამეგობრობასთან.
- **EFTA** – ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია.
- **MFN** – უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.
- **Venture Capital** - მოიზარებს ახალ საწარმოში ან მისი გაფართოების მიზნით ინვესტიციის ჩადებას, ისეთ ბიზნეს პროექტში, რომელიც მაღალი რისკით ხასიათდება და აქციათა ნაწილი გადადის ინვესტორის საკუთრებაში.
- **Business Angel** - ფიზიკური პირის მიერ პირადი კაპიტალის დაბანდება სტარტ-აპებში ან დამწყებ კომპანიებში წილის სანაცვლოდ.
- **ICT** - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
- **GII** - ინოვაციების გლობალური ინდექსი
- **Input** – აქ. ინოვაციური დანახარჯები
- **Output** - აქ. ინოვაციური პროდუქტები
- **Corruption Perceptions Index** - საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსი
- **R&D** - კვლევა და განვითარება
- **Fraser Economic Freedom Index** - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რაც გულისხმობს საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობას

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე სამყაროში ეკონომიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაში, სწორედ ამიტომ საჭირო ბიზნესის განვითარების არსებული ტემპის გაუმჯობესება და სიახლეების მუდმივი ძიება.

საქართველოში ბიზნეს სექტორმა განვითარების გრძელი და კომპლექსური გზა განვლო და მისი სრულყოფა მეტად მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის კეთილდღეობისთვის, ის არა მხოლოდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკაზე, არამედ დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანას ბიზნესის განვითარების დიდი ისტორია არ აქვს, თუმცა იგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პარალელურად აქტიურად ჩაერთო გლობალურ ეკონომიკურ ტენდენციებში და საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში. ჩვენი საკვლევი თემა სწორედ, რომ ბიზნეს გარემოს და მის ფორმირებას ეხება. ვინაიდან, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო რეგიონია და შესაძლებლობა აქვს ტურიზმის, სასტუმრო/სარესტორნო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის კუთხით ბევრი ინვესტორი დააინტერესოს, რაც გაზრდის ეკონომიკურ კეთილდღეობას ქვეყანაში. ვფიქრობთ, ჩვენი საკვლევი თემა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ საქართველო ჯერ ისევ განვითარებადი ქვეყანაა და მისი ბიზნეს გარემო მუდმივ ცვლილებებს განიცდის და ადაპტირდება სიახლეებთან. აქედან გამომდინარე, საკითხი აქტუალურია.

თემის აქტუალობას ზრდის, როგორც „კოვიდ“ პანდემიის, ისე შუა დერეფნის შესაძლებლობა და ევროკავშირთან თანამშრომლობა. ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში და მოქმედებს როგორც მთავარი პარტნიორი ეკონომიკური ზრდის, სტაბილურობისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობაში. სხვადასხვა ინიციატივებით, შეთანხმებებითა და თანამშრომლობით, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ისეთ სფეროებში, როგორცაა ვაჭრობა, ინვესტიციები, ინფრასტრუქტურის განვითარება და ინსტიტუციური რეფორმები. COVID-19-ის პანდემიამ კი იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე და გამოიწვია უპრეცედენტო სირთულეები სხვადასხვა სექტორში. ვირუსის გავრცელების შეკავების მკაცრმა ზომებმა, მათ შორის კომენდანტის საათმა და მოგზაურობის

შეზღუდვებმა იმოქმედა ბიზნესებზე, განსაკუთრებით ტურიზმის, სარესტორნო და საცალო ვაჭრობის სექტორებში. ტურიზმიდან შემოსავლების შემცირებამ, რასაც მთავარი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკაში, გამოიწვია სამუშაო ადგილების დაკარგვა და შემოსავლების შემცირება, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სოციალურ-ეკონომიკურ წნეხი. ამ გამოწვევების წინაშე მდგომმა საქართველომ, ადაპტაციითა და საერთაშორისო თანამშრომლობის დახმარებით პანდემიის უარყოფითი შედეგების შესარბილებლად და ეკონომიკის სტაბილურობისა და ზრდისკენ გადასაყვანად შესაბამისი ქმედებები განახორციელა, რამაც ჩვენ მიერ არჩეული თემა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა.

„შუა დერეფანში“ მშრალი ტვირთების მოზიდვაზე აქტიურად მუშაობს საქართველოს რკინიგზაც. საერთაშორისო სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდული საქონლის სტატისტიკის შედარებით ირკვევა, რომ პანდემიის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი ზრდის დინამიკით ხასიათდება, რაც ხაზს უსვამს საქართველოს დერეფნის კონკურენტუნარიანობას. „შუა დერეფნის“ მარშრუტი, რომელიც ეხება სატრანსპორტო დერეფანს, გადის კასპიის ზღვის რეგიონში და აკავშირებს ცენტრალურ აზიას კავკასიის გავლით ევროპასთან. საქართველოსთვის ტრანსკასპიურ მარშრუტს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის არის ალტერნატიული და მოკლე მარშრუტი ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობისა და ტრანსპორტისთვის. ამ მარშრუტის გამოყენებით ქვეყანას შეუძლია გააძლიეროს თავისი როლი, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ჰაბი, რომელიც ხელს უწყობს საქონლისა და ენერგორესურსების გადაადგილებას. გარდა ამისა, ტრანსკასპიური მარშრუტი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს გააძლიეროს თავისი ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და გამოიყენოს თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობა ვაჭრობისა და ბიზნეს ინფრასტრუქტურის განვითარების ინიციატივების მხარდასაჭერად.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბიზნეს-სექტორის, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესგარემოს ფორმირების ტენდენციები საქართველოში და მათი შედარება ევროპულ გამოცდილებასთან ხოლო კვლევის საგანია ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო, ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამალღებისა და პოტენციალის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წარმოდგენილი სადისერტაციო თემის კვლევის ძირითადი მიზანია ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებისათვის ბიზნესგარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობები საქართველოში. კვლევის ამოცანებს კი წარმოადგენს საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარების ეტაპების შესწავლა, მცირე და საშუალო ბიზნესის როლის შეფასება ეკონომიკურ განვითარებაში, ეკონომიკური რეფორმების გავლენა ბიზნეს გარემოზე და ბიზნესგარემოს გამოწვევების იდენტიფიცირება პანდემიის და პანდემიის შემდგომ პერიოდში, რეკომენდაციებისა და წინადადების შემუშავება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის პროცესში გამოყენებულია დიალექტიკური, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და შედარებითი ანალიზის მეთოდები. ნაშრომში ვხვდებით ცხრილებს, დიაგრამებსა და ილუსტრაციებს, რაც დაკავშირებულია საკვლევი თემის ამოცანებით მოცული საკითხების გაანალიზებასთან.

კვლევის მეცნიერული სიახლე. დისერტაცია წარმოადგენს ანალიტიკურ კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს საქართველოს ბიზნეს ლანდშაფტის და ეკონომიკური პროგრესის ტრაექტორიისა და ტენდენციების შესახებ. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- შეფასებულია ბიზნესგარემოზე მოქმედი სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორთა ერთობლიობის ზეგავლენისა და მის მიღწევაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელობა. დასაბუთებულია, რომ დღეისათვის ქვეყანაში ბიზნესის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს.

- იდენტიფიცირებულია ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც ფოკუსირებულია საინვესტიციო საქმიანობის შეფასებაზე სხვადასხვა სექტორში. ავტორისეული მოსაზრებებით წარმოჩენილია საინვესტიციო პოლიტიკის ხარვეზები და კლიმატის გაუმჯობესების სტრატეგიები;

- გამოკვეთილია ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი „შუა დერეფნის“ ფაქტორთა უპირატესობების ჭრილში. განსაზღვრულია სატრანსპორტო დარგსა და ეკონომიკურ სფეროებს შორის არსებული მრავალმხრივი კავშირების თავისებურებები;

- დასაბუთებულია ინოვაციებისა და ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა;
- შემუშავებულია რეკომენდაციები ევროკავშირში რესურსებზე წვდომისა და ბიზნესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ;
- წარმოდგენილია ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების უპირატესობები ევროკავშირში და მოცემულია წინადადებები მათი საქართველოში განხორციელების შესახებ;
- წარმოდგენილია არგუმენტირებული წინადადებები მონეტარული პოლიტიკის შერბილების მნიშვნელობის შესახებ ბიზნესში, რაც ქმნის ხარჯების დაზოგვის, მეტი ოპტიმიზაციის, პოზიტიური განწყობის და დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას;
- შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები ბიზნესში კორპორაციული მდგრადობის კომპონენტების გაძლიერების წახალისების თაობაზე, სახელმწიფო მხარდამჭერი ღონისძიებების მასშტაბების გაზრდისა და მიზნობრიობის ამაღლებისათვის.

კვლევის შედეგები და დასკვნები: მოცემული კვლევის განხორციელების შემდეგ შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები. წარმოდგენილ სადოქტორო ნაშრომში კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა:

1. რა არის ბიზნესგარემო, რა განაპირობებს მას და რა გავლენა აქვს ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზე.
2. როგორი ბიზნეს გარემოა საქართველოში და რა ფაქტორები განაპირობებს მათ.
3. საკვლევ ობიექტებზე დავირვებით გამოირკვა საქართველოს ბიზნეს გარემოს პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ნაშრომის სტრუქტურა: წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 134 გვერდისგან, ის მოიცავს შესავალს, სამ თავს, ცხრა ქვეთავს და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

თავი I. ეკონომიკის მართვის და რეგულირების მექანიზმების განვითარების ეტაპები საქართველოში


1.1 სამეწარმეო და შრომითი ურთიერთობები

სამეწარმეო საქმიანობა და შრომითი ურთიერთობები გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში, ვინაიდან მეწარმეები არიან ინოვაციების, სამუშაო ადგილების შექმნისა და სიმდიდრის წარმოქმნის კატალიზატორები.

თავიანთი მოქნილობისა და დინამიურობის წყალობით მცირე საწარმოები სწრაფად რეაგირებენ მოთხოვნილების ცვლილებაზე და ამდენად, წარმოადგენენ ინოვაციის წყაროს, ქმნიან დამატებით ბაზარს მსხვილი საწარმოების კუთვნილი მეორადი მოხმარების მანქანა-დანადგარების გასაღებისათვის, მეწარმეები იძენენ გამოცდილებას, რაც ასე აუცილებელია ეკონომიკაში ინდივიდუალური დანაზოგების და ინვესტიციების მოზიდვისათვის, კერძო სექტორის განვითარებისათვის.

საქართველოში სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემებით სულ რეგისტრირებულია 362 740 საწარმო, საიდანაც 2023 წლის მონაცემებით მოქმედი იყო 77 243 საწარმო. მოქმედი საწარმოების პროპორცია კი შემდეგი იყო:


დიაგრამა 1: საქართველოში მოქმედი საწარმოები ზომითი კატეგორიის მიხედვით



წყარო: ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების სამსახურის წლიური ანგარიში saras.gov.ge

მიუხედავად ამისა, მსხვილი საწარმოების ბრუნვა და დასაქმებულ პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვას და დასაქმებულთან რაოდენობას ჯამურად.


დიაგრამა 2: ბრუნვისა და დასაქმებულთა წილი საწარმოებში 2023 წელს



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ევროკავშირში, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების რაოდენობის პროცენტული წილი თითქმის იგივეა, რაც საქართველოში, მნიშვნელოვნად განსხვავდება მცირე და საშუალო საწარმოების როლი ეკონომიკაში.

დიაგრამა 3: საწარმოები ზომების მიხედვით EU-ში



წყარო: [Annual report on European SMEs 2022/2023](#)

დიაგრამა 4: ბრუნვის და დასაქმებულთა წილი EU-ს საწარმოებში 2022/2023 წელი



წყარო: [Annual report on European SMEs 2022/2023](#)


როგორც დიაგრამებიდან ჩანს, მცირე და საშუალო საწარმოები ჯამში ქმნიან ევროკავშირის მთლიანი ბრუნვის ნახევარზე მეტს და მათში ჯამურად დასაქმებულია დასაქმებულთა სრული რაოდენობის თითქმის 2/3 ნაწილი. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევის ძირითადი მიმართულება არის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ეფექტური ბიზნეს გარემოს ევროპული მოდელი გადმოტანა საქართველოში, რომელიც მათ მისცემს საშუალებას იქცნენ საქართველოს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალად.

ჩვენი აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესი განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, ვინაიდან, აქ მისი როლი არ განისაზღვრება მხოლოდ საბაზრო სისტემის განვითარებითა და მისი მექანიზმის სრულყოფით. საქართველოსა და მის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისათვის პირველი რიგის ამოცანაა თვით ამ საბაზრო სისტემის საფუძვლების შექმნა, რაც მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებით იწყება. მათი მეშვეობით მიიღწევა ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2020 წლისთვის საქართველოს მშპ-ს 8,4% ეჭირა სოფლის მეურნეობას, ხოლო მსოფლიო ბანკის მონაცემებით ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელთან და მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის 10%-იან მაჩვენებელთან ახლოს არიან ისეთი განვითარებადი ქვეყნებია, როგორცაა - მოლდოვა, ტუნისი, მონღოლეთი და ჰონდურასი. მსოფლიო ბანკის


მონაცემებით, ასევე დგინდება, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი და საფრანგეთი - სოფლის მეურნეობის წილი მთლიან მშპ-ში 1,5-2%-ია.

დიაგრამა 5: სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში



წყარო: მსოფლიო ბანკი

დიაგრამა 6: მშპ ერთ სულ მოსახლეზე



წყარო: მსოფლიო ბანკი

თუ კი ზემოთ ნახსენები ქვეყნების განვითარების დონეს მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე ინდიკატორით გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მშპ-ში სოფლის მეურნეობას დაბალი წილი უჭირავს, მშპ ერთ სულ მოსახლეზე მაღალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობის წილი მაღალია; ხოლო, ქვეყნები, რომელთა მშპ-შიც სოფლის მეურნეობის წილი 10%-ია, შედარებით ნაკლებად განვითარებულია, შესაბამისად ეკონომიკა არის სუსტი და საჭიროებს საშუალო და მცირე ბიზნეს სექტორის წახალისებასა და განვითარებას.

2014 წელს ჩვენი ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) სახელმწიფოებთან ერთად: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა და უკრაინა, შეფასდა ევროპის მცირე ბიზნესის აქტის (SBA) 10 პრინციპით. ამ კომპონენტებიდან შვიდში საქართველომ მაქსიმალური ქულა აიღო, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის მიხედვით, წამოიწყო რეფორმები სხვადასხვა სფეროებში, რომლებიც მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციის პოლიტიკის დანერგვას.

ჩვენი აზრით, შემდეგი კონკრეტული ღონისძიებების წყალობით ჩვენმა ქვეყანამ გააფართოვა მიდგომა მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდასაჭერად:


1. შეიქმნა ორი ახალი ინსტიტუცია - მეწარმეობის განვითარების და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოები, რომელთა მიზანია მეწარმეებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევა და ინოვაციების, ექსპორტის ხელშეწყობა;

2. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ბიზნესის მხარდამჭერ ინფრასტრუქტურას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაციის მხრივ;

3. 2014 წელს შედგა შეთანხმება- DCFTA, რომლის მიხედვითაც განხორციელდა რეფორმები, რომლებიც ემსახურებოდა ევროპული სტანდარტებისა და პროცედურების იმპლიმენტაციას საქართველოში.

SME-ის პოლიტიკის ინდექსის მიხედვით საქართველოში გაუმჯობესდა ეკონომიკური გარემო მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის და გამარტივდა რეგულაციები.

დიაგრამა 7: მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი 2016წ.



წყარო: www.economy.ge

თუ კი განვიხილავთ OECD-ის ბოლო შეფასებას: „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი 2024“ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო წამყვან ქვეყანად იქნა მიჩნეული. 2024 წლის მიმოხილვაში საქართველო საუკეთესო იყო შემდეგი მიმართულებით: ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო; ოპერაციული გარემო; გადახდისუუნარობა; სამეწარმეო სწავლება და ქალთა მეწარმეობა; მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარები; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; სახელმწიფო შესყიდვები; სტანდარტები და ტექნიკური რეგულაციები; მცირე და საშუალო მეწარმეობის ინტერნაციონალიზაცია; ბიზნესის ხელშემწყობი სერვისები; ინოვაციური პოლიტიკა. ეს ყოველივე, ჩვენი აზრით დაკავშირებულია, COVID პანდემიის შემდგომ ეკონომიკის სწრაფი აღდგენით და საქართველოს მაღალი სტანდარტების მარეგულირებელი ბიზნესგარემოს უზრუნველყოფით.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ჰარმონიულობის მიღწევის საკითხს ესადაგება “მეწარმეთა შესახებ კანონი”, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებითურთ, რომლის საფუძველზე, შეფერხებებით, თუმცა მაინც მიმდინარეობს ეს პროცესი. ქვეყანაში შეიქმნა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: ინდ. მეწარმეობა, პარტნიორობა და კორპორაცია. კორპორაცია თავის მხრივ მოიზრებს 2 ქვე-ჯგუფს: აქციონერთა საზოგადოება და სახელმწიფო საწარმო. ჩვენი აზრით, მეწარმეობის ფორმების შექმნით ქვეყანაში შესაძლებელი გახდა საბაზრო სისტემისთვის დამახასიათებელი შერეული ეკონომიკის ფორმირება, რომელიც სრულად ვერ განხორციელდა არასტაბილური სამეწარმეო გარემოს გამო.

1990–ანი წლებიდან დაიწყო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, დაარსდა ეკონომიკის სამინისტრო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი, რომლის მიმართულებს წარმოადგენდა: საინვესტიციო ფინანსების მოზიდვა და ფინანსური სახსრების გრძელვადიან ან საშუალოვადიან პროექტებში ჩადება. თუმცა მძიმე სოციალური და ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე ფონდის საწყისი საწესდებო კაპიტალი ვერ შეივსო სრულად და ფონდმა ვერ უზრუნველყო ბიზნესების მხარდაჭერა.

ჩვენი აზრით, უნდა აღინიშნოს პრივატიზაციის პროცესი, ვინაიდან იგი არა მარტო ხელს უწყობს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების განვითარებას, არამედ ამტკიცებს კაპიტალისტურ კონკურენციას, რაც, თავის მხრივ გულისხმობს კონკურენტული ფასის არჩევანის საშუალებას. ჩვენს ქვეყანაში პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა მიღებული იქნა 1992 წელს და იგი მიზნად ისახავდა მცირე ბიზნესის განვითარებას, ეკონომიკის გამოყვანას კრიზისიდან. (ჭითანავა, 2000:101) მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენი აზრით, არასწორი კონცეფცია იქნა ჩადებული პრივატიზაციის პოლიტიკაში, კერძოდ მოხდა პრივატიზაციის მექანიკური დაჩქარება.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ისეთი სირთულეები, როგორცაა საწარმოების ტექნიკური ჩამორჩენილობა, საწარმოთა რეგისტრაცია, რაც ქრთამის აღებასთან იყო დაკავშირებული, ინფლაცია, საბანკო სექტორისგან მხარდაჭერის არაარსებობა, კრედიტების გაცემაზე მუდმივი უარი, მომხმარებლების გადახდისუუნარობა და მოუწესრიგებელ ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარემო-პირობები. (ჭანია, 2016:15)

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, არასტაბილური საგადასახადო სისტემა იყო ერთ-ერთი დაბრკოლება მეწარმეობის განვითარებისთვის. მუდმივად ხორციელდებოდა დამატებები საგადასახადო კანონმდებლობაში. შედეგად კი ეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდა და მოხდა ბიზნეს სექტორის დემოტივირება. ერთ-ერთ გამომწვევ პრობლემას წარმოადგენა ჩრდილოვანი ეკონომიკა. მაღალი იყო აღურიცხავ საწარმოთა რაოდენობა, რაც გამოწვეული იყო საგადასახადო სისტემის გაუმართაობით და შესაბამისად გადასახადების თავიდან აცილების წარმატებული მცდელობებით.

ბიზნეს-გარემოს ფორმირების და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით არაერთი რეფორმა განხორციელდა ქვეყანაში, რისი მეშვეობითაც გაიზარდა საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებელი. ჩვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვლილი რეფორმების განხორციელებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნის საინვესტიციო და ბიზნეს-გარემო:

- გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები შემცირდა. „ფორბსის“ 2009 წლის „Tax Misery and Reform Index“-ის მიხედვით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში საგადასახადო ტვირთის სიმცირის მიხედვით საქართველო მე-4 ქვეყანაა.

- საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება. არსებობს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%). ხოლო DCFTA შეთანხმების შემდეგ ვაჭრობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარეობს ტარიფების გარეშე.

- „ერთი სარკმლის“ პრინციპის დანერგვა, რაც გულისხმობდა ბიზნესთან დაკავშირებული პროცედურების ელექტრონულ რეჟიმში მიღება. გაიხსნა იუსტიციის სახლები, რამაც გარდა ხალხისთვის მრავალფეროვანი მომსახურების შეთავაზებების გარდა აღმოფხვრა კორუფცია. გახდა იურიდიული მხარე მეტად გამჭვირვალე.

მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარების და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდაჭერისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ორი უწყება - მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ერთადერთ მაკოორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში. სააგენტოს ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა; საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა.

ტექნოლოგიების სააგენტოს მისიას კი წარმოადგენს ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის და საჭირო ეკოსისტემის ფორმირებისთვის

ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაცია და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში.

მეტი თვალსაჩინოებისთვის შევადგინეთ მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის SWOT- ანალიზი:

ძლიერი მხარე:

- ადმინისტრაციული პროცედურების და სახელმწიფო სერვისების გამარტივებული ფორმა

- მარტივი პროცედურები ბიზნესის წამოწყებისთვის
- თანამედროვე საკონსულტაციო მომსახურება მცირე და საშუალო

ბიზნესებისთვის

- საგადასახადო სისტემა გამარტივება საშუალო და მცირე ბიზნესებისთვის
- წვდომა საერთაშორისო ბაზრებზე (markets)
- ლიბერალური საგარეო სავაჭრო ქსელი ევროკავშირთან
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები განვითარებულ ქვეყნებთან

სუსტი მხარე:

- არაკვალიფიცირებული სამუშაო ძალა
- ტექნოლოგიების დანერგვის მცირე და შეზღუდული შესაძლებლობები
- კონკურენტუნარიანობის და პროდუქტიულობის დაბალი დონე
- შეზღუდული წვდომა ფინანსებსა და საინვესტიციო რესურსებზე
- არასაკმარისი ყურადღება ექცევა ინოვაციებისა და კვლევის (R&D) სფეროს
- კვლევისა და კერძო სექტორს შორის დაბალი სიხშირის თანამშრომლობა

შესაძლებლობები:

- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა
- ფინანსური განათლების დონის ამაღლება
- დაფინანსების ალტერნატიული გზების ქონა
- ექსპორტისა და წარმოების დივერსიფიკაცია
- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული განათლების

სტრუქტურა

- შემცირებული ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში

- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება
- საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია
- კარგად განვითარებული საკონსულტაციო მომსახურება
- მეტი ინოვაციისა და ტექნოლოგიების დანერგვა
- თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა

საფრთხეები:

- ეკონომიკური ზრდის შენელება და პოლიტიკური არასტაბილურობა
- მცირე და საშუალო ბიზნესებში მხოლოდ მოკლევადიანი ინვესტირება
- არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობები
- მცირე და საშუალო საწარმოთა დაბალი შესაძლებლობები გლობალურ

ბაზარზე არსებული კონკურენციის ფონზე

არსებული სირთულეების დაძლევის მიზნით, სახელმწიფოს ხელშეწყობის ფარგლებში, მოქმედებს პროგრამა „წარმოე საქართველოში“, რომელიც ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომელიც სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაციასა და ექსპორტის ხელშეწყობაზეა ფოკუსირებული. სააგენტო ასევე აერთიანებს ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

შრომითი ურთიერთობები

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ძირითადი ფუნქციაა შესაბამისი ადამიანური რესურსებით წარმოებისა და მომსახურების სფეროების უზრუნველყოფა. ჩვენი აზრით, შრომის ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური კმაყოფილება.

შრომის ბაზრის ფუნქციონირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები განსხვავებული ხასიათისაა (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური) და შრომის

ბაზარზე მათი გადაკვეთით გარკვეულწილად ფოკუსირდება ქვეყანაში არსებული ვითარება. (მესხი, 2017:19)

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. მასზე უშუალოდ აისახება ეკონომიკური რეფორმის ძირითადი შედეგები. შრომის ბაზარი უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას.

შრომის ბაზრის სუბიექტებია: დამსაქმებლები (დამქირავებლები), რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იქნენ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების, სახით; დასაქმებულები (დაქირავებული მომუშავეები), უმუშევრები, რომლებსაც არ აქვთ სამუშაო და აქტიურად ეძებენ მას, სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების სახით და ასრულებს სოციალურ-ეკონომიკურ, საკანონმდებლო და მარეგულირებელ ფუნქციებს.

შრომის ბაზრის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო აქტები, წესები, ნორმები, რომლებიც დაარეგულირებენ შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, ზუსტად განსაზღვრავენ მათ უფლებებს, შექმნიან მომუშავეთა შრომის უნარის რეალიზაციისათვის თანაბარ შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობენ ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნას, დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარებას.


პრაქტიკულად ყოველი პოსტსოციალისტური ქვეყნისა და, მათ შორის, საქართველოსთვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზევე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სამუშაო ძალის ცენტრალიზებული განაწილების სისტემის გაუქმება, მისი შეცვლა სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილებით, უმუშევართა დახმარების ეფექტიანი სისტემის ფორმირება და დასაქმების აქტიური პოლიტიკის ღონისძიებების გატარება. ასევე, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ხელფასების ცენტრალიზებულად დადგენის წესის გაუქმება და კოლექტიური ხელშეკრულებების სისტემის დანერგვა.

საქართველოში სისტემური ხასიათის რეფორმები დაიწყო სრული ეკონომიკური კრახის პირობებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შრომის ბაზრის განვითარების ფორმაზე და ვადებზე. ხანგრძლივი ეკონომიკური სტაგნაცია, სოციალური პრობლემების გამწვავება, სისტემური რეფორმების

გაჭიანურება მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად განაპირობებდა უძრაობას შრომის ბაზარზე, რამაც ბიძგი მისცა არაფორმალური დასაქმების ზრდას.


დღესდღეობით საქართველოში დასაქმების ზრდის ძირითად წყაროს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, ჩვენი აზრით, დასაქმების შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კერძო სექტორის აქტივობა და უზრუნველყოფილი იქნას მაღალი ეკონომიკური ზრდა. ამ თვალსაზრისით, ბოლო წლების ეკონომიკური ზრდის ანალიზისას, გამოვყოფდით 2010 წელს, როგორც საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან წელს. სწორედ აქიდან დაიწყო ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში, რომლის უდიდეს ნაწილს - 70%-ზე მეტს - კერძო ინვესტიციები შეადგენდა. ვთვლით, რომ აღნიშნული შესაბამისობაშია უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირების ტენდენციასთან 2010-2016 წლებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, ძირითადად საგარეო ეკონომიკური შოკების ზეგავლენის შედეგად, ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, რაც მიუთითებს, რომ ბიზნეს სექტორის ზრდა გარკვეულწილად ჩამორჩება პოტენციურ შესაძლებლობას და შესაბამისად მის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდაზე გავლენა დამატებით პოტენციალს შეიცავს. ამასთან, 2017 წლის დასაწყისიდან საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებისა და ნეგატიური ფაქტორების შერბილების შედეგად, გაუმჯობესდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და გაიზარდა კერძო სექტორის აქტივობა, რაც დადებითად იმოქმედებს დასაქმების მაჩვენებელზე 2017 წლის განმავლობაში. 2023 წელს კი დიდი მოცულობით ფულადი ნაკადების შემოდინებამ ქვეყანაში გაამყარა ლარი და შეაკავა ინფლაცია, რამაც დადებითად იმოქმედა ვალის დონეზე და შეამცირა იგი.

დიაგრამა 8: საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი



წყარო: [Forbes Georgia](#)

დიაგრამა 9: ინვესტიციებისა და ვალუტის კურსის შედარება



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური/საქართველოს ეროვნული ბანკი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განახლებული შრომის კოდექსის საფუძველზე დაიწყო შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

რაც კომპანიებისთვის დიდ გამოწვევად იქცა, რადგან მწირა ამ კუთხით გამოცდილება ქართულ ბიზნესში. ბიზნეს სუბიექტში შრომითი ურთიერთობების კანონდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, სამართლებრივად გამართული შრომითი ურთიერთობების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, შემდეგ კი პერმანენტული ადმინისტრირება, რომლის სწორად წარმართვაზე, უკვე პასუხისმგებელი ორგანიზაცია იქნება.

გამოვეყოფთ იმ დარგებს, რომლებსაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის 2023 წლის ეკონომიკის ზრდაში, ესენია: ვაჭრობა და ავტომობილების შეკეთება. ჩვენი აზრით, ამ სექტორების სიდიდე პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან. გარდა ამისა, მთავრობის მიერ დაფინანსებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა და საცხოვრებელ სახლებზე გაზრდილმა მოთხოვნამ გააფართოვა მშენებლობის დარგი და მას არა ნაკლები წვლილი მიუძღვის ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნებაში.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს უმუშევრობა, შესაბამისად უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს. ჩვენ კერძო სექტორის შემდგომ განვითარებასა და ზრდაში ვხედავთ უმუშევრობის შემცირების ყველაზე ეფექტიან მექანიზმს. იმისათვის, რომ უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდეს, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, უნდა მოხდეს უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების ანალიზი, როგორც მიწოდების მიმართულებით, (შრომის ბაზრის ასიმეტრიულობა, მობილობის დაბალი ხარისხი, დაბალი პროდუქტიულობა და არაადექვატური კვალიფიკაციის არსებობა), ასევე მოთხოვნის მიმართულებით, რაც მოიცავს კერძო სექტორის არასაკმარის დივერსიფიცირებულობას, სექტორებს შორის არათანაბარ განვითარებას და ბიზნეს და სამეწარმეო საქმიანობის გეოგრაფიული კონცენტრაციის საკითხებს.

ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან, შრომითი პოტენციალისა და ბაზრის რეგულირების ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- 2014 წელს მოხდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელმაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობა მოიცვა;

- Worknet – შეიქმნა სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების ონლაინ მონაცემთა ბაზა, რომელსაც დასაქმების სამსახური/სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო მარ-თავს (www.worknet.gov.ge) და მოიცავს სამუშაოს ყველა იმ მაძიებელს, რომელმაც გადაწყვიტა სახელმწიფო დასაქმების სამსახურის მიერ მართულ მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება;

- შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების მონაცემთა ბაზა (www.emis.gov.ge), რომელიც მოიცავს ყველა საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და იმ კერძო სასწავლებლებს, რომელთაც თავად გადაწყვიტეს დარეგისტრირება, ასევე პროფესიული სასწავლებლების ყველა მოსწავლეს და ყველა მასწავლებელს;

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, საქართველოში დამსაქმებელთა მიერ კადრების მოძიების ძირითად წყაროს, კვლავ წარმოადგენს არაფორმალური კავშირები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, რომ მაღალია უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა დასაქმების მაჩვენებელი, განსაკუთრებით საჯარო სამსახურში. თუმცა, დაბალია უმაღლესი განათლების საჭიროებებზე მორგებული სამუშაო ადგილების გენერაციის დონე. რაც მეტყველებს იმაზე, რომ უმაღლესი განათლების მოთხოვნის მქონე სამუშაო ადგილები გაჯერებულია სამუშაო ძალით.

იქედან გამომდინარე, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობა აღემატება მათ განათლებასა და კვალიფიკაციაზე მორგებულ სამუშაო ადგილების რაოდენობას ქვეყანაში განსაკუთრებით მაღალია უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების უმუშევრობის მაჩვენებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განახლებული შრომის კოდექსის და შრომის ინსპექციის სამსახურის მხრიდან მონიტორინგის წყალობით ქვეყანაში დაიწყო შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. რაც კომპანიებისთვის დიდ გამოწვევად იქცა, რადგან მწირეა ამ კუთხით გამოცდილება ქართულ ბიზნესში. ორგანიზაციაში შრომითი ურთიერთობების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, სამართლებრივად გამართული შრომითი ურთიერთობების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, შემდეგ კი პერმანენტული ადმინისტრირება, რომლის სწორად წარმართვაზე, უკვე პასუხისმგებელი HR სამსახურია, იურუდიულ სამსახურთან ერთად.

მცირე და საშუალო ბიზნესებს უჭირთ საკუთარი კომპანიის შიგნით სისტემა იმგვარად მოაწიონ, რომ კანონმდებლობასთან შესაბამისობა მუდმივად უზრუნველყოფილი იყოს. მიუხედავად ამისა, ჩვენი შეფასებით, შრომის ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება და მისი მანდატის გაზრდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებია. 2020 წლამდე შრომის ინსპექცია ამოწმებდა მხოლოდ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ რეგლამენტებს, ხოლო მათი უფლებამოსილების მიღმა რჩებოდა შრომის უფლებების მონიტორინგი. უახლესი რეფორმის წყალობით კი ინსპექციას მიეცა შესაძლებლობა, შეამოწმოს, იცავს თუ არა დამსაქმებელი დასაქმებულის შრომით უფლებებს – სამუშაო დროის ხანგრძლივობას, მოთხოვნებს ზეგანაკვეთურ სამუშაოზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს, შვებულების მიცემის წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების გაცემას, შრომით დისკრიმინაციის საკითხებს.

ჩვენი აზრით, მოცემული გარემოებები და მაგალითები მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ნელ-ნელა ხდება ბიზნესთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სახელმწიფოს როლის დახვეწა და მისი დაახლოება მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკასთან, თუმცა ბიზნესისთვის სრულად ხელსაყრელი გარემო ჯერ მაინც არ არის შემქმნილი. ამისთვის საჭიროა ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც ბიზნესს ყველა ეტაპზე მისცემს განვითარების საშუალებას, აუმაღლეს მათ ცოდნას და გამოცდილებას. სახელმწიფოს ჩართულობა საჭიროა არა მხოლოდ ნორმატიული ბაზის შექმნაში, არამედ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის და ექსპორტის ხელშესწეობის წახალისებაში.

1.2. საგადასახადო და საბაჟო სისტემები

სიტყვას „გადასახადი“ უძველესი ისტორია აქვს და გადასახადების წარმოშობა საუკუნეებს ითვლის. გადასახადები ჯერ კიდევ მაშინ შემოიღეს, როდესაც გაჩნდა საზოგადოების მოთხოვნილებები, ხოლო შემდგომ პერიოდში გადასახადის აკრეფის ძირითადი მიზანი სახელმწიფოს მხრიდან ჯარის მოვლა იყო. ამის გამო გადასახადი სახელმწიფო შემოსავლების მიღების მუდმივ წყაროდ გადაიქცა.

რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, იგი ჩამოყალიბდა სახელმწიფოს განვითარების პარალელურად. დროთა განმავლობაში, ეკონომიკური სისტემის დანერგვისა და განვითარების პროცესში საზოგადოების შეხედულებები გადასახადების მიმართ ნაწილობრივ შეიცვალა და როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სისტემის გამართული ფუნქციონირება ძირითადად დაფუძნებულია სამართლიანობაზე, თანასწორობაზე, სიმარტივესა და განსაზღვრულობაზე.

საქართველოში 1991-1992 წლებში დაიწყო სოციალისტური ეკონომიკური მოდელის ტრანსფორმირება და საგადასახადო პოლიტიკამ დიდი ცვლილებები განიცადა. ამ პერიოდისთვის ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა საგადასახადო ურთიერთობების მართვის არც ფუნდამენტური ცოდნა და არც პრაქტიკული გამოცდილება. ქართული საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე შემჭიდროებულ ვადებთან ერთად დიდი გავლენა იქონია ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა.

1997 წლის 13 ივნისს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც განსაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექანიზმი, გადასახადის სახეები, მათი გამოანგარიშების და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო სამართლებრივი პრინციპები, საგადასახადო ტერმინოლოგია და ა.შ. (შუმარიდინა, 2021:13)

დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ამ კანონის უარყოფითი მხარეებიც. კერძოდ, გადასახადების სიმრავლე და არაადეკვატური განაკვეთები, ძირითად გადასახადებთან დუმბლირებადი საგადასახადი ბაზის მქონე გადასახადების შემოღება, გადასახადებისგან გათავისუფლების სიმრავლე და არაადეკვატურობა. საგადასახადო კანონმდებლობისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ადმინისტრირების შესაძლებლობების შეუსაბამობა, საგადასახადო ორგანოებისა და გადამხდელების მზადყოფნის დაბალი დონე გადასახადების რთული სისტემების ადმინისტრირებისათვის. კანონმდებლობის სათანადოდ აღსრულებისათვის

საგადასახადო ადმინისტრაციის შესამღებლობების სიმწირე, გადამხდელთა ინფორმირების სრულყოფილი სისტემის არარსებობა და სხვა.¹

ჩვენი აზრით, საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების შემდგომ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული რიგით მეორე საგადასახადო კოდექსი, რომელიც, ერთი მხრივ, გადასახადების ლიბერალიზაციაზე იყო ორიენტირებული, მეორე მხრივ, კი მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებაზე.

ახალი კოდექსი ითვალისწინებდა საგადასახადო პოლიტიკის ძირეულ გადახედვას და ისახავდა შემდეგ მიზნებს:

- ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა - შემცირებული გადასახადებისა და დაბალი განაკვეთების მეშვეობით;
- საგადასახადო კულტურის ამაღლება გამარტივებული ადმინისტრაციული მექანიზმებით;
- სტაბილური საინვესტიციო გარემო - მყარი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებით და ლიბერალური ეკონომიკური პრინციპების დამკვიდრებით;
- ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერა - არაკეთლსინდისიერი გადამხდელების მიმართ გამკაცრებული ადმინისტრაციული მექანიზმებით.

აღნიშნულმა კოდექსმა იმჟამად არსებული 22 გადასახადიდან დატოვა მხოლოდ 8 გადასახად, რომლებიც დროთა განმავლობაში კვლავ დაიხვეწა.


საგადასახადო სისტემის დახვეწის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო და 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა რიგით მესამე და დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსი, რომლის სტრუქტურის ოპტიმიზაციის პროცესი დღესაც გრძელდება. მოქმედი კოდექსი კიდევ უფრო მიახლოებულია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის მეთოდოლოგიასა და დებულებებთან. შემოღებულია დაბეგვრის ახალი რეჟიმები მცირე და საშუალო მეწარმეთა მოთხოვნილებების შესაბამისად. უფრო სრულად აღმოიფხვრა ბიუროკრატიული დაბრკოლებები. განხორციელდა საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის ხარჯების მკვეთრი შემცირება ინფორმაციული ტექნოლოგიების ამაღლების ხარჯზე – ელექტრონული მომსახურება, საბაჟო ადმინისტრირების გადაყვანა კონტროლის ფორმატზე რისკ-

¹ საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ განმარტებითი ბარათი, თბილისი, 2004.

კონტროლის საფუძველზე ადამიანური ჩარევის მინიმალური დონით და საბაჟო ოპერაციის გაფორმების მინიმალური დროითი დანახარჯით.

თუ კი მიღებული კოდექსის შედეგებს გავაანალიზებთ და 2005-2017 წლების ინტერვალში საგადასახადო ტვირთის ცვლილების ტენდენციას შევაფასებთ, რაც გრაფიკზე არის ასახული, დავინახავთ, რომ 2006 წელს, წინა წლებთან შედარებით, საგადასახადო ტვირთი 18.4% პუნქტით შემცირდა, რაც სწორედ, რომ 2004 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით არის განპირობებული. ასევე, 2009 წელს საგადასახადო ტვირთი 38.6%-დან 15.3%-მდე შემცირდა, რაც კვლავ საგადასახადო კოდექსში განხორცილებული ცვლილებით იყო გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ გადასახადების მოგებასთან ფარდობის მაჩვენებლის შემცირების პარალელურად იზრდებოდა მშპ-თან ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფარდობის მაჩვენებელი, რაც საგადასახადო სისტემაში კორუფციის აღმოფხვრით, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პროცესის მოწესრიგებით და ადმინისტრირების გაუმჯობესებით აიხსნება. (შამუგია, 2017:2)


დიაგრამა 10: საგადასახადო ტვირთი



წყარო: mof.ge


ამავდროულად, დავაკვირდეთ შედარებით ახლო წარსულის პერიოდს და 2017 წლის რეიტინგი, საგადასახადო ტვირთის მიხედვით, შევადაროთ ამავე მაჩვენებელს 2019 წლისთვის:

დიაგრამა 11: მსოფლიო ბანკის 2019 წლის რეიტინგი – საგადასახადო ტვირთი



წყარო: მსოფლიო ბანკი

დიაგრამა 12: WEF-ის 2017 წლის რეიტინგი - საგადასახადო ტვირთი, %



წყარო: მსოფლიო ბანკი

როგორც მსოფლიო ბანკის 2019 წლის სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო ტვირთის მაჩვენებლებში ჩანს საქართველოს მაჩვენებელია 9,9%, რაც საგრძნობლად შემცირდა 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც 16,4%-ის ტოლი იყო, რაზეც, ჩვენი აზრით, გატარებულმა საგადასახადო პოლიტიკამ მოახდინა გავლენა. ეფექტურმა მმართველობამ, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებამ

„სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობის ამაღლებამ და კანონის უზენაესობის დამყარებამ გამოიწვია არაფორმალური საქმიანობის მკვეთრი შემცირება საგადასახადო რეფორმამდე პერიოდსა და საგადასახადო რეფორმის შემდგომ პერიოდს შორის: გადასახადების რაოდენობა შემცირდა 22-დან 6-მდე, პოტენციური საგადასახადო შემოსავლები მშპ-დან 40-45% დონიდან შემცირდა 28-30%-მდე, ხოლო ფაქტიური საგადასახადო შემოსავლების დონე მშპ-ს 15,6%-დან 23,4%-მდე. (Kelmuria, 2011:14)

2022 წელს მიღებული საგადასახადო შემოსავლების 55% მოდის არაპირდაპირი გადასახადებისგან, კერძოდ:

1. დამატებული ღირებულების გადასახადი,
2. აქციზის გადასახადის;
3. იმპორტის გადასახადი

პირდაპირი გადასახადებიდან ყველაზე დიდი წილი კი მოდის საშემოსავლო გადასახადზე (29%). ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი, რომელიც იკავებს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 3% წილს.

ჩვენი აზრით, მოქმედი კოდექსით გათვალისწინებულ სიახლეებს და შედეგებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი შემოღებული და მოქმედი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და პროცესუალური დებულებები და რეჟიმები:

- საგადასახადო სისტემის გამარტივება გამოხატულია გადასახადების რაოდენობის შეცვლაში 26-დან 6-მდე 2003 წ. და 5-მდე 2012 წ. დაბეგვრის გამარტივება მიკრო და მცირე ბიზნესისათვის. მათთვის შემოღებულია დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები, გამარტივებულია გადასახადების აღრიცხვისა და გადახდის პროცედურები. მიკრო- ბიზნესი (წლიური მთლიანი შემოსავალი 30 000 ლარამდე, სასაქონლო მარაგით 45 000 ლარამდე) გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან. მცირე ბიზნესისათვის (ყოველწლიური მთლიანი შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან 500 000 ლარამდე) დადგენილია ერთადერთი გადასახადი, რომელიც იანგარიშება საქონელბრუნვის მიხედვით, 1% ბრუნვისა, ხოლო ერთჯერადად გადააჭარბა გადამხდელმა 500 000 ლარიან ზღვარს - მაშინ ბრუნვის 3%.

- ქვეყანაში საბაჟო რეგულირების გამარტივების მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით 2006 წლიდან 16 საბაჟო ტარიფის ნაცვლად მოქმედებს ტარიფის მხოლოდ სამი სახე (0%, 5%, 12%), კერძოდ, ნულოვანი განაკვეთი შემოდებული იქნა საქონლის უმეტესობაზე, გარდა საშენი მასალებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა.

- საბაჟო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. საბაჟო სისტემის კონტროლის შემოღება საბაჟო კონტროლის რისკზე ორიენტირებული მექანიზმის საფუძველზე. მიღებულია შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, მკაფიოდ არის რეგლამენტირებული დეკლარირებული საქონლის დათვალიერება მონაცემთა ელექტრონული ბაზის საფუძველზე (შემოდებულია მწვანე, ლურჯი, ყვითელი და წითელი დერეფნების პრინციპი). თითქმის ასეთივე მიდგომა გამოიყენება საბაჟო საზღვარზე ხალხის გადაადგილებისას, რაც საბაჟო საზღვარზე საქონლის გატარების დრო, მნიშვნელოვნად ამცირებს კორუფციულ რისკებს. ამ სისტემების იმპლემენტაციამდე ძალზედ მაღალი იყო კორუფციული რისკები, ვინაიდან საქონლის თითქმის 100% ფიზიკურად საბაჟო ინსპექტორის მიერ მოწმდებოდა. ახლა რისკების საბაჟო მართვის პროგრამული უზრუნველყოფა წყვეტს, რომელი საქონელი უნდა შემოწმდეს შერჩევის მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე. იმპორტიორებმა 1 საათის განმავლობაში უნდა გაიარონ საბაჟო გაფორმების ყველა პროცედურა. რისკების საბაჟო მართვის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა გამორიცხავს გარიგების ნებისიერ შესაძლებლობას საბაჟო ორგანოს თანამშრომელსა და იმპორტიორს შორის, და ეს კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. ეს, ასევე, იძლევა ადინისტრაციული რესურსის დაზოგვის საშუალებას.

- სპეციალური საბაჟო გაფორმების ზონის შექმნა (გეზ-ი). საბაჟო გაფორმების ზონა მოიცავს რამდენიმე ჰექტარს, მოწყობილია განსაკუთრებული სადგომი ასობით სატვირთოსათვის. ერთი საათის განმავლობაში ემსახურება იმპორტიორების შეუზღუდავ რაოდენობას, რაც გულისხმობს იმას, რომ საქონლის გაფორმებისათვის იმპორტიორს არ სჭირდება ბროკერის, აგენტის / დეკლარანტის ან სხვა შუამავლის დაქირავება და მათი მომსახურებისათვის მაღალი ხარჯის გაწევა. მომსახურების საფასურის გადახდა შეიძლება გადაიდოს 5 დღით საბაჟო ზონაში საქონლის გაფორმების მომენტიდან.

- საგადასახადო კანონდარღვევისათვის საჯარიმო სანქციების შერბილება, ზოგ შემთხვევაში ფულადი ჯარიმის ნაცვლად შემოღებულია პასუხისმგებლობის ზომა გაფრთხილების სახით.

- 12-20%-იანი განაკვეთის მქონე პროგრესული საშემოსავლო გადასახადის ჩანაცვლება ბრტყელით ჯერ 12%-იანი, შემდეგ 20%-იანი განაკვეთით. 2005 წლამდე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი იყო დიფერენცირებული და პროგრესული. საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთის მიზანს წარმოადგენდა დაბალი შემოსავლების მქონე გადამხდელებისათვის შეღავათების შემოღება, მაგრამ ეს ამოცანა ვერ გადაიჭრა იმიტომ, რომ გადამხდელის ორ ან მეტ ადგილზე მუშაობისას, არაძირითადი სამუშაოდან მიღებული შემოსავლები იბეგრებოდა მაქსიმალური ნიშნულით.

- 2017 წლის ცვლილებებით საქართველო გადავიდა მოგების გადასახადის ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, რაც ნიშნავს მოგების გადასახადით დაბეგვრას იმ ნაწილში, რომლის განაწილება მოხდება დივიდენდის სახით.

- შემოღებული იქნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის და საერთაშორისო სავაჭრო კომპანიის ცნებები, რაც საერთაშორისო ვაჭრობით დაკავებული კომპანიებისათვის მნიშვნელოვან შეღავათებს აწესებს. ეს სტატუსები წარმოადგენს უნიკალურ საშუალებას საწარმოებისათვის საქონლის გადამუშავების, წარმოებისა და ექსპორტისათვის მინიმალური საგადასახადო ტვირთით. ამ ზონების უპირატესობას წარმოადგენს: მოგების გადასახადისაგან, პროცენტებისა და დივიდენდების გადასახადისაგან, იმპორტზე დღგ-საგან და ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება.

- საერთაშორისო რეგულირების შემოღება ორმაგ დაბეგვრაზე, რომელიც მოიცავს 2008 წ. ეგთო-ს საგადასახადო კონვენციის მოდელის სხვადასხვა დებულებებს. დივიდენდები და პროცენტები უნდა დაიბეგროს რეზიდენტებისათვის (მაგალითად, თუ ქართული რეზიდენტ-კომპანია იღებს დივიდენდებს უცხოური რეზიდენტ-კომპანიისაგან, მაშინ დივიდენდი დაიბეგრება მხოლოდ საქართველოში).

- 2004 წ.-მდე შემოსავლებზე საგადასახადო ამნისტიის, ხოლო 2010 წ.-ს საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღება, რის საფუძველზეც გადამხდელს საშუალება ეძლევა გააფორმოს გადასახადებისაგან

დაფარული (არადეკლარირებული) შემოსავლები და საგადასახადო დავალიანება (სანქციების ჩათვლით). შეთანხმებით განისაზღვრება გადასახდელი თანხის დაფარვის ოდენობა და ვადები. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა, ხოლო მასზე კონტროლს ახორციელებს შემოსავლების სამსახური.

- არასასამართლო ინსტიტუტის შექმნა საგადასახადო დავებისა გადასაწყვეტად სამართალწარმოებამდე (საგადასახადო საბჭო ფინანსთა სამინისტროსთან).

- საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის გაუმჯობესება, კერძოდ, სისტემის შემოღება და საგადასახადო დეკლარაციების ელექტრონული ფორმით მიწოდების შესაძლებლობა, ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და ზედნადებების გამოყენება, რაც გამორიცხავს ტექნიკურ შეცდომებს მათი შევსებისას და ნიშნელოვნად ამარტივებს გადამხდელების მუშაობას. მაქსიმალურად არის შემცირებული გადამხდელების კონტაქტი საგადასახადო ინსპექტორებთან, ასევე, დაშვებულია ელექტრონული მონაწილეობა საქმეების განხილვისას საგადასახადო დავების განხილვის საბჭოში. გადამხდელების 99% სარგებლობს ელექტრონული მომსახურებით, ხოლო ყველა სალარო ოპერაცია „ონ-ლაინ“ რეჟიმში სისტემა GPRS –ის მეშვეობით ხვდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მთავარ სერვერზე.

- საქართველოში პრინციპი “Good Faith” “წესიერება“ შემოღება, რომლის თანახმადაც საგადასახადო დავის დროს გადამწყვეტს წარმოადგენს სამართალდარღვევის შინაარსი, და თუ მტკიცდება, რომ გადამხდელის მიზანს არ წარმოადგენდა გადასახადებისაგან თავის არიდება, სანქციები, შესაძლებელია, არ გამოიყენონ.

- პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურების შემოღება, რომელმაც გადასახადის გადამხდელს უნდა გაუწიოს კონსულტირება და დაეხმაროს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაში, ასევე დაიცვას გადამხდელთა ინტერესები შემოსავლების სამსახურში.

- საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შექმნა. IT სფეროში ჩართულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც მიენიჭება არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარკვეული მოთხოვნების

დაკმაყოფილების შემთხვევაში. საგადასახადო შეღავათები ვრცელდება მომსახურებაზე საქართველოს საზღვრებს გარეთ, ვირტუალურ ზონაში მოქმედ პირებზე, რომლებიც თავისუფლდებიან: მოგების გადასახადისაგან, დღგ-საგან და საექსპორტო ვალდებულებებისაგან.

- საერთაშორისო საფინანსო კომპანიის ინსტიტუტის შექმნა, რომელსაც შეუძლია გაიუმჯობესოს საკუთარი საგადასახადო პოზიციები განსაკუთრებული სტატუსის მიღების გზით. საერთაშორისო საფინანსო კომპანია არის საფინანსო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს თავისი მომსახურების დიდ ნაწილს მხარეებთან საქართველოს საზღვრებს გარეთ და მისი საქმიანობა არ იბეგრება. კომპანიებს, რომლებიც სწევენ ისეთ ფინანსურ მომსახურებას, როგორცაა კაპიტალის მართვა, აქტივების მართვა, ფინანსური შუამავლობა და სხვ. შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო საფინანსო კომპანიის სტატუსი და პრივილეგიები. საგადასახადო შეღავათები ვრცელდება კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადზე: საერთაშორისო საფინანსო კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისაგან მოგების მიღებისას, საერთაშორისო საფინანსო კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული მოგების დროს, საერთაშორისო საფინანსო კომპანიის მიერ გადახდილი დივიდენდების შემთხვევაში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფართომასშტაბიანი საგადასახადო რეფორმა საქართველოში დაიწყო 2004 წელს საგადასახადო კოდექსის მიღებით, რომელიც ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული საგადასახადო კოდექსის თანახმად, საქართველოში შემოღებული იქნა ხუთი საერთოსახელმწიფო გადასახადი, მათ შორის

- 1) საშემოსავლო გადასახადი;
- 2) მოგების გადასახადი;
- 3) დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ);
- 4) აქციზი;
- 5) სოციალური გადასახადი.

და ორი ადგილობრივი გადასახადი:

- 1) ქონების გადასახადი;
- 2) სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

2005 წლიდან გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირების შედეგად გამარტივდა საგადასახადო ადმინისტრირება როგორც საგადასახადო სამსახურის ორგანოების, ასევე გადამხდელებისათვის საგადასახადო ანგარიში შედგენის დრო. გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში. 2004-2010 წწ. გადასახადების აკრეფა გაიზარდა სამჯერ, 2,2 მლრდ. ლარიდან 5,8 მლრდ. ლარამდე. 2005 წლამდე გადასახადების გადახდა მშპ-საგან შეადგენდა 16%-ს, რეფორმის შემდეგ ამ მაჩვენებელმა მიაღწია 23-24%.

შემოსავლების სამსახურმა 2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კანონშესაბამისობის და საგადასახადო რისკების მართვის გაძლიერების მიმართულებით. „2022- 2023 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის“ მიხედვით, რომელიც ეფუძნება სამსახურის სტრატეგიას და გადასახადის გადამხდელის 4 ფუნდამენტურ ვალდებულებას: რეგისტრაციას, საგადასახადო ვალდებულებების დროულ დეკლარირებას, დეკლარირებული მონაცემების სისწორეს და კუთვნილი გადასახადების დროულ გადახდას.

2022 წელს ასევე განხორციელდა საგადასახადო რისკის შემცირების ღონისძიებები, რაც ითვალისწინებს, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო შეუსაბამობების შესახებ, გადასახადის გადამხდელთა ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას. აღნიშნული პროცესი გადასახადის გადამხდელს მნიშვნელოვნად ეხმარება, სათანადოდ და სრულყოფილად შეასრულოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებები. ამასთან, 2022 www.rs.ge 2022 წლის ანგარიში 7 წლის განმავლობაში დაიხვეწა და განვითარდა კანონშესაბამისობის შემდეგი პროგრამები: რეგისტრაციის ბაზის სისრულის, მონაცემთა ხარისხის კონტროლის, დაქირავებულ პირთა რეესტრის, მარაგების მართვის, დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაციის, დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვის და დეკლარაციის სისწორის კონტროლის პროგრამები.

ამავე წელს განხორციელდა საბაჟოს სერვისებთან დაკავშირებული სამართლებრივი, პროცედურული და ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს დეკლარანტების/მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში დაშვების მქონე პირების მიერ რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების უპირატესი, განსხვავებული საფასურების შემოღება. ასევე, „eCustoms“-ში დაშვებული

პირების მიერ, საქონლის საბაჟო დეკლარაციების შევსებისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე, საქონლის დეკლარირების წახალისება, რის ფარგლებშიც გაფართოვდა იმ პროცედურების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებისას შესაძლებელია საქონლის წინასწარი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე დეკლარირება.

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლის და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) მხარდაჭერითა და NU Borders-ის მონაწილეობით, შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს საბაჟოს საინფორმაციო სისტემების მოდერნიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფმა NU Borders-ის წარმომადგენლებს წარუდგინა ხედვა ახალი სისტემის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მიაწოდა დეტალური ინფორმაცია/დოკუმენტაცია ახალ სისტემაში შესავსებ ფორმებთან და საკვანძო ბიზნესპროცესებთან დაკავშირებით. 2022 წელს, დეკლარაციების შევსების პროცესის გამარტივების მიზნით, NU Borders-ის მიერ შემუშავდა საბაჟო დეკლარაციების მომხმარებლის ინტერფეისი, რომლის ტესტირება განხორციელდა შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფის მიერ.

ამ ცვლილების ფონზე კი გაფორმდა 371 637 საქონლის საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის - 265 488 თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტი) პროცედურაში, ხოლო - 68 063 ექსპორტის პროცედურაში. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით ჯამურად საქონლის საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა გაიზარდა 12%-ით, მათ შორის, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში - 16%-ით, რაც ჩვენი აზრით, პირდაპირ არის დაკავშირებული სისტემის გამარტივებასა და გაციფრულებასთან.

1.3. საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები

ფინანსები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბაზრო ეკონომიკაში. იგი ზემოქმედებს საზოგადოებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე:

- მონაწილეობს საქონლის და მომსახურების ფასების დადგენაში, ასევე კონკურენციაში, რაც თავის მხრივ ასევე მოქმედებს ფასებზე;
- ფულით გამოიხატება საწარმოს სამეურნეო ოპერაციები;
- მოქმედებს სამეურნეო ოპერაციის მხარეების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე;

მუდმივად იცვლება ფინანსების შინაარსი და მისი გამოყენების შესაძლებლობა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, ხდება მისი მორგება წარმოების პირობებზე. ფულის მოძრაობა იწვევს ფულადი სახსრების დაგროვებისა და გადანაწილების შესაძლებლობას ფინანსური ბაზრებისა და საზოგადოებრივი ფონდების საშუალებით.

წარმოების განვითარება იწვევს ფულის როლის ზრდას. ფულის მიმოქცევა განახლების პროცესის მუდმივი ელემენტია. საზოგადოება დაინტერესებულია პროდუქტიული კაპიტალის მიმოქცევის უწყვეტობით და გაფართოებული განახლებით, რაც ასოცირდება მშპ-ს და საწარმოო აქტივების ზრდასთან და შრომითი რესურსების განახლებასთან.

თანამედროვე ეკონომიკაში ფულადი სახსრების დაგროვების, ეკონომიკური სუბიექტებზე სესხის გაცემის, საგადახდო საშუალებების ემისიის და ინვესტიციების განხორციელების ფუნქციებს ასრულებს სხვადასხვა საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც შემოსავალს იღებენ ძირითადად ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობით ან/და საფინანსო შუამავლობით. საკრედიტო და საფინანსო ინსტიტუტებში შედის ისეთი ფინანსური შუამავლები, როგორცაა საკრედიტო ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და საინვესტიციო ფონდები. ამ ინსტიტუტებში ასევე შედის ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებას: საფონდო და ვალუტის ბირჟები, ბროკერები, დილერები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სხვა პროფესიონალი მონაწილეები.

ყველაზე გავრცელებული ფინანსური შუამავლები არიან კომერციული ბანკები. მათი მომსახურებით სარგებლობენ სახელმწიფო, სამეწარმეო სუბიექტები და მოსახლეობა. ამრიგად, ფული ხელს უწყობს საკრედიტო სფეროს ფორმირებას, სხვადასხვა ფონდების საშუალებით ფულადი სახსრების დაგროვებას და გადანაწილებას და ფინანსური ურთიერთობების სპეციალური სისტემის შექმნას.

საბაზრო ეკონომიკაში ფულის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფო აკონტროლებს და არეგულირებს მთლიან ეკონომიკაში არსებული ფულისა და სესხების მოცულობას.

ნებისმიერი სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების განვითარების სტრატეგია უნდა დაეყრდნოს საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნას და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საქართველოში მოუშადადებლად დაიწყო, რასაც მოჰყვა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმოშობა. მათი მთავარი მიზეზი კი იყო გარდაქმნების თეორიული საფუძვლების დაუმუშავებლად დაწყება. ჩვენი აზრით, საფინანსო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება დიდწილად დამოკიდებულია ფინანსურ ორგანიზაციებზე, რადგან ისინი წარმოადგენენ ფულის ემისიის მექანიზმს, ქმნიან ფულის მასას და მის სტრუქტურას, განსაზღვრავენ ბანკნოტების უზრუნველყოფისა და გაცვლითი კურსის დადგენის პროცედურებს, აგრეთვე პროგნოზირების დაგეგმვის პროცედურას. ამ ფინანსურ ინსტიტუტებში შედის საბანკო სისტემა. ქვეყნის საბანკო სისტემა წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ბანკებს და სხვა ფინანსური ინსტიტუტებს, რომლებიც გარკვეულ პერიოდში მოქმედებს ქვეყნის ზოგადი ფულად-საკრედიტო მექანიზმის საფუძველზე.

ნებისმიერი სახელმწიფოს საბანკო სისტემის მთავარი რგოლი არის ეროვნული (ცენტრალური) ბანკი. ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა ეროვნული ვალუტის დაცვა და სიმყარის შენარჩუნება, ასევე მისი მსყიდველობითი უნარის შენარჩუნება. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი, მიზნები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით.

კანონის პირველი მუხლის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას, რაც ოპტიმალურია გრძელვადიან პერიოდში სტაბილური ზრდისათვის.

კანონის პირველი მუხლის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, რომელიც ასევე წარმოადგენს, საქართველოს

მთავრობის ბანკირს და ფისკალური აგენტს. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში წარმართავს. ეს მიდგომა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული და აპრობირებული მოდელია და ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და შემდგომი პოლიტიკის იმგვარად განხორციელებას გულისხმობს, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ დონესთან ახლოს იყოს. (მესტვირიშვილი, 2022:12)

ფაქტობრივად, ეროვნული ბანკის ყველა ოპერაცია შეიძლება ჩაითვალოს მისი პოლიტიკის ინსტრუმენტად, რადგან ის არის ყველაზე მსხვილი ბანკი და ისეთი უფლებამოსილებით სარგებლობს, რომ მის ნებისმიერ მოქმედებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ბაზრებზე.

ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

- შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;

- განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
- უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
- ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;
- ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;

- განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;
- საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა;

- განახორციელოს კომერციული ბანკის რეზოლუცია;
- მონაწილეობა მიიღოს კრიზისული სიტუაციებისთვის მომზადებასა და კრიზისის მართვაში;

- შეასრულოს ამ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

ეროვნული ბანკი არეგულირებს მის მიერ გაცემული სესხების საერთო

მოცულობას ერთიანი სახელმწიფო მონეტარული პოლიტიკის მიღებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. ეროვნულ ბანკს შეუძლია დაადგინოს ერთი ან რამდენიმე საპროცენტო განაკვეთი სხვადასხვა ტიპის ოპერაციებისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო პოლიტიკას მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმში ახორციელებს, რაც ეროვნულ ვალუტაზე ფასწარმოქმნის საბაზრო პრინციპების შენარჩუნებას გულისხმობს. აღიარებულია, რომ საქართველოს მსგავსი მცირე ზომის, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, მცურავი გაცვლითი კურსის მექანიზმი ოპტიმალურ სავალუტო რეჟიმად ითვლება. აღსანიშნავია, რომ გაცვლითი კურსის ფორმირების ასეთი მექანიზმის უმთავრესი პოზიტიური მახასიათებელი ქვეყნის ეკონომიკაზე საგარეო შოკების ნეგატიური გავლენის შესუსტება და ეკონომიკისთვის ავტომატური სტაბილიზატორის ფუნქციის შესრულებაა. ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ჩარევა (ინტერვენცია) მონეტარული პოლიტიკის ერთერთი მთავარი ინსტრუმენტია. გაცვლითი კურსის უფრო მოქნილი განსაზღვრისთვის, ეროვნული ბანკი ყიდულობს და ყიდის უცხოურ ვალუტას სავალუტო ბაზარზე, რათა გავლენა მოახდინოს ლარის გაცვლით კურსზე და ფულის მთლიან მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინტერვენციისათვის უმთავრეს ინსტრუმენტად კვლავ სავალუტო აუქციონები გამოიყენება. 2020 წლის 1 ოქტომბრიდან ეროვნული კურსი დგინდება ბლუმბერგის „Bmatch“ პლატფორმაზე არსებული გარიგებების მიხედვით.

ბანკის საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკა ემყარება ეკონომიკის მდგომარეობას და ინფლაციის დინამიკას. საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანი იქნება საპროცენტო განაკვეთის დერეფნის ეტაპობრივი შევიწროება და ფულის ბაზრის განაკვეთების არასტაბილურობის შემცირება. ამავდროულად, ფულის ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ფორმირებაზე გავლენას მოახდენს ბანკთაშორისი რეფინანსირების ინსტრუმენტების განაკვეთები, უპირველეს ყოვლისა რეპო ოპერაციების მიხედვით. რეპო არის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა შემდგომში იმავე ან მსგავსი ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან ყიდვის (გამოსყიდვის) ვალდებულებით. რეპო ოპერაციებით, როგორც ფულადი სახსრების სესხება/გასესხების ინსტრუმენტით, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სარგებელი:

- თავიდან აიცილონ კონტრაგენტის საკრედიტო რისკი;

- მოიზიდონ დაბალ პროცენტის ფულადი რესურსები, ხოლო უკურეპოს შემთხვევაში გასცენ უზრუნველყოფილი სესხი;
- მოიზიდონ ფულადი რესურსები ლიმიტების გარეშე, ხოლო უკურეპოს შემთხვევაში გასცენ უზრუნველყოფილი სესხები ლიმიტების გარეშე;
- გარიგების მოქმედების პერიოდში, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე განკარგონ მიღებული ფასიანი ქაღალდები. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2011:34)

ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლება პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური სახელმწიფოს მისწრაფებაა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ აირჩია ინფლაციის დონის შემცირება, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტული მიზანი, სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

ინფლაციის თარგეთირების პირობებში, ეროვნული ბანკის მთავარ ინსტრუმენტს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი იგივე რეფინანსირების განაკვეთი წარმოადგენს. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არხით ერთობლივ მოთხოვნას ცვლის. ეს კი, საბოლოო ჯამში, ინფლაციის დინამიკაზე აისახება.

პირდაპირი კავშირი ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და ცხოვრების დონეს შორის შემდეგია: გაფართოების ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხორციელდება საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, საჭირო სარეზერვო კოეფიციენტის შემცირებით, ბანკის რეფინანსირების გაფართოებით და ფასიანი ქაღალდების ყიდვით ღია ბაზარზე. ეს ზომები იწვევს ფულის მასის ზრდას, რაც ზრდის კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსებს, ეკონომიკის რეალურ სექტორზე სესხების გაცემის გაზრდას, პროცენტული განაკვეთების შემცირებას და ინვესტიციების ზრდას. შესაძლებლობების ზრდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში იწვევს მთლიანი მიწოდების (წარმოების მოცულობების) ზრდას, სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას, მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდას.

ჩვენი ქვეყნის ფულად-საკრედიტო ასპექტის გაანალიზებისას შეინიშნება ფულის მასის სიმცირე (დანაკლისი). ფულის მასის დიდი ნაწილი საბანკო სისტემის გარეთაა. დამატებითი ფულის მასის მიმოქცევაში გაშვებისათვის კი ამ ეტაპზე ეკონომიკური გარემო არა არის მომზადებული, შესაბამისად მას შთანთქმავს სავალუტო ბაზარი.

ფულის მასის ზრდის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ისიც, რომ ეროვნული ბანკი თავისუფლად ყიდის ეროვნულ ვალუტას და ლიკვიდობის არარსებობის შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები არ ისურვებენ ვალუტის შესყიდვას. ჩვენი აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ის ფაქტი თუ რამდენად ეფექტიანი მექანიზმები აქვს ქვეყანას შემუშავებული რათა უზრუნველყოს ლიკვიდურობის რეგულაცია და ფულზე მოთხოვნის გაზრდა.

ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში საკრედიტო ბაზრისა და საპროცენტო განაკვეთების დარეგულირება საკმაოდ კომპლექსურ პროცესად რჩება. კომერციულ კრედიტებს მსოფლიო სტანდარტებს თუ შევადარებით საქართველოში საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად მაღალია. მაღალი საპროცენტო განაკვეთები კი ხელს უშლის ქვეყანაში მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებას. ქვეყანაში დაბალი საპროცენტო განაკვეთების არსებობის შემთხვევაში კი მეტად განვითარდებოდა მრეწველობა. ასევე შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, დასაქმდებოდა ხალხი, ბიუჯეტში მეტი ფულის შესვლით კი ფულად-საკრედიტო სისტემა უფრო მტკიცე გახდებოდა.

რაც შეეხება საინვესტიციო გარემოს, ქვეყანაში მისი ფორმირება, გარდა მიკრო და მაკრო - ეკონომიკასთან კავშირში, ასევე, ურთიერთ-დაკავშირებული პროცესების ზეგავლენის შედეგად ხორციელდება. საინვესტიციო გარემოს შესაფასებლად აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს თუ მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა.

ზემოქმედებს საზოგადოებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე და მონაწილეობს საქონლის და მომსახურების ფასების დადგენაში, ასევე კონკურენციაში, რაც თავის მხრივ მოქმედებს ფასებზე, გამოხატავს საწარმოს სამეურნეო ოპერაციებს, და მოქმედებს სამეურნეო ოპერაციის მხარეების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ქვეყანამ დანერგა ახალი ფინანსური ინსტრუმენტები და სერვისები ფინანსური ბაზრის დივერსიფიკაციისა და ბიზნესისა და ფიზიკური პირების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს მოიცავდა კაპიტალის ბაზრების, სადაზღვევო სერვისების და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას:


- განვითარდა ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოუშვან აქციები და ობლიგაციები კაპიტალის მოსაზიდად. ამან უზრუნველყო დაფინანსების ალტერნატიული წყაროები ტრადიციული საბანკო სესხების გარდა. უახლოეს წარსულს, რომ შევხედოთ 2023 წელს განხორციელდა მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების 18 ემისია, რომლებიც შვიდ სხვადასხვა სექტორზე ნაწილდება. კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის ზომამ კი, 2023 წელს 1,8 მლრდ ლარი შეადგინა.

- გარდა ამისა, დაარსდა მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, რათა მცირე სესხებისა და ფინანსური მომსახურების გაწევა დაბალი შემოსავლის მქონე პირებისა და მიკრომეწარმეებსთვისაც შესაძლებელი ყოფილიყო, რომლებსაც არ ჰქონდათ წვდომა ტრადიციულ საბანკო სერვისებზე. მიკროკრედიტების პროგრამები მიზნად ისახავს სიღარიბის დაძლევის და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას.

- გაფართოვდა სადაზღვევო ინდუსტრია, რომელმაც შესთავაზა საზოგადოებას სადაზღვევო პროდუქტების ფართო ასპექტი. 2023 წლის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 818 მილიონი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდის შედეგებით მზღვეველების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 190,9 მილიონი ლარი, წმინდა მოგებამ კი 63,5 მილიონი ლარი. 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 35 მილიონი ლარი იყო.

- ონლაინ ბანკინგისა და ელექტრონული გადახდის სისტემების დანერგვამ ხელი შეუწყო კომფორტულ და უსაფრთხო ფინანსურ ტრანზაქციებს. ეს მოიცავდა ინტერნეტ ბანკინგის პლატფორმებს, მობილური ბანკინგის აპლიკაციებს და ელექტრონულ გადახდის ქსელებს, რაც აძლიერებს მოსახლეობის ფინანსურ სერვისებზე წვდომას.

დიაგრამა 13: ჯამურად გაცემული სესხები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირდაპირი კავშირი ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და ცხოვრების დონეს შორის შემდეგია: გაფართოების ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხორციელდება საპროცენტო განაკვეთების და საჭირო სარეზერვო კოეფიციენტის შემცირებით, ბანკის რეფინანსირების გაფართოებით და ფასიანი ქაღალდების ყიდვით ღია ბაზარზე. ეს ზომები იწვევს ფულის მასის ზრდას, რაც ზრდის კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსებს, ეკონომიკის რეალურ სექტორზე სესხების გაცემის გაზრდას, პროცენტული განაკვეთების შემცირებას და ინვესტიციების ზრდას.

თავი II. ბიზნესგარემო და მის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები.

უცხოური გამოცდილება


2.1 ბიზნესგარემოზე მოქმედი გარე ფაქტორები

ნებისმიერი სამეწარმეო ორგანიზაციის არსებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული "ბიზნეს გარემოს" ფორმირების კონცეფციასთან, რადგან მეწარმე სუბიექტები ფუნქციონირებენ კონკრეტულ გარემოში, სადაც ახორციელებენ ბიზნეს საქმიანობას.

არსებობს ბიზნესის გარემოს სხვადასხვა განმარტებები, რომლებიც ეხება როგორც თავად კონცეფციის ფორმულირებას, ასევე მისი არსის განმარტებას. უცხოური პრაქტიკის მიმოხილვა გვთავაზობს ბიზნეს გარემოს განსაზღვრის სამ ძირითად მიდგომას:

- 1) სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფცია;
- 2) მარკეტინგული მიდგომა;
- 3) სამეწარმეო მიდგომა.

სისტემური მიდგომის მიხედვით ორგანიზაცია - ეს არის ღია სისტემა, რომელსაც გააჩნია შიდა გარემო, რომელიც ურთიერთქმედებს მის გარე გარემოსთან. სამეწარმეო გარემო შედგება პირობებისა და ფაქტორებისგან, რომლებიც ზემოქმედებს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ტომას ველენი, თავის წიგნში „სტრატეგიული მენეჯმენტი და ბიზნეს პოლიტიკა“ სტრატეგიული მენეჯმენტის 4 ძირითად ფუნქციას გამოყოფს: გარემოს სკანირება, სტრატეგიის ფორმულირება, სტრატეგიის დანერგვა და ორგანიზაციის საქმიანობის შეფასება და კონტროლი. სწორედ სტრატეგიული მენეჯმენტის პასუხისმგებლობა არის მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც სამომავლოდ გამოიღებს ნაყოფიერ შედეგს და გაზრდის ეგრედწოდებულ „performance“-ს. (Thomas L. Wheelen J. H., 2011:15)



ფიგურა 1 სტრატეგიული მენეჯმენტი

წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ

მარკეტინგის მიდგომაში, რომელიც განავითარეს ფ. კოტლერმა და ვ. ვავრამ, გამოიყენება "მარკეტინგული გარემოს" კონცეფცია, რომელიც განხილულია როგორც უკონტროლო ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ეხება სამეწარმეო ორგანიზაციას და გავლენას ახდენს მის მარკეტინგულ სტრატეგიაზე. (Vavra, 1998:36)

მესამე მიდგომა არის სამეწარმეო მიდგომა. ეს განმარტება ერთ – ერთი ყველაზე ახლოსაა ბიზნეს გარემოს თანამედროვე შეხედულებებთან, ამასთან, ეს მიდგომა არ ითვალისწინებს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა კონკურენტები, მომწოდებლები და მომხმარებლები.

ა.ვ. ბუსიგინის თანახმად, სამეწარმეო გარემო ნიშნავს "... სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას, მათ შორის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს, სამეწარმეო ორგანოს არსებობას (ან შექმნის შესაძლებლობას), ეკონომიკური ურთიერთობების ბაზრის ტიპის დომინირებას, სამეწარმეო კაპიტალის ფორმირებისა და საჭირო რესურსების გამოყენების შესაძლებლობას". ამავე დროს, ბიზნეს გარემოს ძირითადი ელემენტი არის მეწარმეები, რომლებიც ხასიათდებიან დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მაღალი ხარისხით, ხოლო მეწარმეობის თავისუფლების კრიტერიუმია ახლად აღმოცენებული ბიზნეს სუბიექტების რიცხვი.

სამეწარმეო გარემო გაგებულია, როგორც სამეწარმეო ორგანიზაციების არსებობისთვის ხელსაყრელი გარემო. ამრიგად, იგი ხაზს უსვამს მეწარმეობის ეფექტური ფუნქციონირებისა და განვითარების სპეციალური კლიმატის შექმნის აუცილებლობას, რაც გულისხმობს შესაბამისი ზომების მიღებას სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. (A.B, 1998:20)

ჩვენი აზრით, ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ფუნქციონირების პირობები ყოველთვის არ უწყობს ხელს ბიზნეს სუბიექტების განვითარებას, თუმცა გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე. ამიტომ ვამბობთ, რომ უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც მეწარმეობის განვითარებას ეწინააღმდეგებიან, დაუშვებელია არ მივაკუთვნოთ ბიზნესგარემოს ელემენტებს. მაგალითად, ქვეყნის პოლიტიკური ფონი, რომელიც როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენის მქონეა სამეწარმეო საქმიანობებზე. გარდა ამისა, კაპიტალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მხარდამჭერი ეკოსისტემების და კულტურული და სოციალური ნორმების არარსებობა, რომლებშიც ჩვენ ვგულისხმობთ საზოგადოების დამოკიდებულებას რისკის აღების, წარუმატებლობისა და მეწარმეობის მიმართ, რაც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს და ხელს უშლიდეს ინდივიდებს სამეწარმეო წამოწყებისკენ. ჩვენეული განმარტების მახასიათებელია ისიც, რომ ეკონომიკური თავისუფლებით ხასიათდება ბიზნეს გარემო. სწორედ მისი მეშვეობით მოქალაქეები ეწევიან სამეწარმეო საქმიანობებს. მისი განხორციელება სრულად შესაძლებელია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაში და სახელმწიფოსგან გარკვეული თავისუფლების გარანტიების არსებობის პირობებში.

თუ კი შევაჯამებთ ზემოთ ხსენებული ავტორების განმარტებებს თანამედროვე ინტერნეტ რესურსებიდან მოძიებულ ინფორმაციასთან ერთად, ჩვენი აზრით, ბიზნეს გარემო უნდა განიმარტოს, როგორც მარკეტინგული ტერმინი, რომელსაც პროფესიონალები იყენებენ ყველა იმ შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობის ხაზგასასმელად, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე.

ბიზნეს გარემოს განსაზღვრის გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მის სტრუქტურას. თითქმის ყველა ეკონომისტი გამოარჩევს ბიზნესის მაკრო და მიკროგარემოს.

ზოგადად, გარე ბიზნეს გარემო გაგებულია, როგორც ობიექტური პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც არსებობს სამეწარმეო ორგანიზაციის გარეთ და პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს მასზე.

ამრიგად, სხვადასხვა თვალსაზრისის შეჯამებით, ბიზნეს სუბიექტების უახლოესი გარემო გაგებული იქნება, როგორც მომწოდებლები, კონკურენტები, მომხმარებლები და ე.წ. ბიზნესის მონაწილეები, რომელშიც უნდა შედიოდეს სახელმწიფო ორგანოები


და დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასოციაციები, გაერთიანებები, მასმედია და ა.შ.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც არაპირდაპირ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტებზე, რაშიც ვგულისხმობთ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე, მაგრამ არ არიან უშუალოდ ჩართულნი ბიზნეს პროცესებში. ჩვენ გამოვყოფთ შემდეგს: პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური, სოციალურ-კულტურული, დემოგრაფიული, ბუნებრივი და კლიმატური და ეკოლოგიური. მაგალითად, სხვა ქვეყნების ეკონომიკურმა პირობებმა შეიძლება ირიბად გავლენა მოახდინოს ბიზნესებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგალითად, თუ მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში რეცესიაა, ამან შეიძლება გამოიწვიოს სხვა ქვეყნების ბიზნესის ექსპორტზე მოთხოვნის შემცირება. მოთხოვნის შემცირება ირიბად იმოქმედებს ბიზნესის შემოსავალსა და მომგებიანობაზე, მაშინაც კი, თუ ისინი უშუალოდ არ არიან ჩართულნი საერთაშორისო ვაჭრობაში.

პოლიტიკური ფაქტორები მოიცავს ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე მიმდინარე მოვლენებს. ამრიგად, ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაზე გავლენას ახდენს: პოლიტიკური სტაბილურობის დონე და მდგრადობა მთავრობის შტოებს შორის; სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების პატივისცემა; სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის არსებობა და მათი როლი მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში; სახელმწიფო და სასამართლო ხელისუფლების დამოკიდებულება მეწარმეობის მიმართ. გარდა ამისა, ე.წ. სპეციალური ინტერესების ჯგუფები და ლობისტები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენენ ქვეყანაში მეწარმეობის ფორმირებასა და განვითარებაზე.

მაგალითად, 2006 წელს საქართველოს დემოკრატიის ინდექსი შეადგენდა 4,9-ს, ხოლო 2022 წლისათვის (უკანასკნელი მონაცემი) შეადგენს 5,2-ს. ამავე პერიოდში ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი S&P-ის მიხედვით B+ -დან გაიზარდა BB-მდე. აღნიშნული ცვლილება პირდაპირპროპორციულად აისახა როგორც პირდაპირ ინვესტიციებზე, ასევე სახელწიფო ვალის ზრდის შესაძლებლობაზე, რაც თავის მხრივ ეკონომიკაში გაშვებულია თანხებია.

დიაგრამა 14: მთავრობის ვალი და ინვესტიციები



წყარო: ფინანსთა სამინისტრო და სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იურიდიული ფაქტორები გარკვეულ კავშირშია პოლიტიკურ გარემოსთან, რადგან იგი შექმნილია იმავე სამთავრობო ორგანოების მიერ, რომლებიც ყველა პოლიტიკური მოვლენის მთავარი მონაწილეები არიან. ამავდროულად, სამართლებრივი გარემო, ჩვენი აზრით, ტრადიციულად გაგებულია ამ სიტყვის უფრო ვიწრო მნიშვნელოვით. კერძოდ, იგი პირდაპირ მოიცავს ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში, აგრეთვე მეწარმეთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. ამავე დროს, სხვადასხვა თანამდებობის პირები და გავლენის ჯგუფები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ იურიდიულ საკითხებზე ვინაიდან მათ აქვთ გარკვეული პოლიტიკური ძალა. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური და იურიდიული ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს ორმხრივი ურთიერთობების პროცესებს სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის, თავად მეწარმეებს შორის კი, ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის მექანიზმები და სამართლებრივი სისტემის სტაბილურობა.


გარდა ამისა, სამეწარმეო საქმიანობაზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც ახასიათებს: ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა; კონკურენციის არსებობა და ინტენსივობა; ბაზრების მასშტაბი და მათი განვითარების ხარისხი; ფასების დონე, მათი ტენდენციები და ინფლაცია; ფინანსური და საკრედიტო სისტემის მდგომარეობა; დაბეგვრის სისტემის ეფექტურობა; ეფექტური მოთხოვნის დონე, დანაზოგების ხელმისაწვდომობა მოსახლეობაში და

მათი ინვესტიცია ეკონომიკაში, მეწარმეების საინვესტიციო საქმიანობის დონე და ა.შ. ეკონომიკური გარემოს მდგომარეობიდან გამომდინარე, ბიზნესის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგია მონაწილე სუბიექტებთან და მათ საქმიანობასთან ერთად იცვლება.

მეწარმეობის სტიმულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ასახავს ქვეყანაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის მდგომარეობას და ტენდენციებს, აგრეთვე ახასიათებს ინოვაციური საქმიანობის განვითარების დონეს, მისი რეალური გამოყენების ზომას და სამეწარმეო შედეგების რეალიზებას.

ინოვაციების გლობალური ინდექსის (GII) 2023 წლის შედეგების მიხედვით საქართველო 65 ადგილზეა 29,9 ქულით. აღნიშნული ინდექსი 132-მდე ქვეყანას აფასებს ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით. 2023 წელს საქართველოს ქულა გაუმჯობესდა ხუთ კომპონენტში - ბაზრის განვითარების დონე, ადამიანური კაპიტალი და კვლევა, საბაზრო გარემო, ცოდნა და ტექნოლოგიები და შემოქმედებითი პროდუქტები. ხოლო რეგრესი დაფიქსირდა კვლევის დანარჩენ 2 კომპონენტში - ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა.

დიაგრამა 15: საქართველოს რეიტინგი - ინოვაციების გლობალურ ინდექსში



წყარო: ინოვაციების გლობალური ინდექსი 2022

ეკოლოგიური ფაქტორები დაკავშირებულია ტექნოლოგიურ ფაქტორებთან. მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სხვადასხვა მიღწევების დანერგვა დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს ბუნებრივ გარემოზე, რაც იწვევს ეკოლოგიური გარემოს

შეცვლას და, შესაბამისად, იწვევს მეწარმეების საქმიანობაში შემდგომ ცვლილებებს. გარემოს ფაქტორებში შედის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის განვითარების ხარისხი.

გარდა ამისა, გარემო ფაქტორები ახდენენ გავლენას ბუნებრივ და კლიმატურ ფაქტორებზე მათი ახლო ურთიერთობის გამო. ეს უკანასკნელი მოიცავს მეწარმეთა ფუნქციონირების ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს, აგრეთვე სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებისა და ენერჯის მატარებლების მარაგებს, მათ ტერიტორიულ განაწილებას, სამეწარმეო საქმიანობაში განვითარების დონის და მათი ობიექტური ხელმისაწვდომობის ხარისხს. ამ ჯგუფის ფაქტორების განსაზღვრისას გვხვდება ტერმინი „ფიზიკური გარემო“, რაც, პრინციპში, არ ეწინააღმდეგება მათ არსს.

ბოლო ფაქტორია სოციალურ-კულტურული და დემოგრაფიული ფაქტორები. ხშირად, ეს ორი ჯგუფი გაერთიანებულია ერთში იმის გამო, რომ დემოგრაფიული ფაქტორები, სოციალური ფაქტორების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი აზრით, ამ მიდგომას აქვს არსებობის სრული უფლება, ვინაიდან სოციოლოგიის თვალსაზრისით, დემოგრაფიული პირობები პირდაპირ გავლენას ახდენს ერის განვითარების სოციალურ-კულტურულ პირობებზე და პირიქით. დემოგრაფიულ ფაქტორებში შედის მოსახლეობის ზომა და სტრუქტურა, რეპროდუქციული მახასიათებლები, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, ეთნიკური ერთგვაროვნება და ა.შ. ძირითადი სოციალურ-კულტურული ფაქტორებია განათლების დონე (მათ შორის სამეწარმეო და ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში) და აღზრდა, ქცევის კულტურა, ერის ინტელექტუალური პოტენციალი და მისი მენტალიტეტი, ადათ-წესებისა და ტრადიციების გავლენა და ა.შ.

ზოგადად მიღებული თვალსაზრისით, მეწარმეობის ინფრასტრუქტურა ორი კომპონენტისგან შედგება:

1. პირველი, სოციალური ინფრასტრუქტურის ჩათვლით (საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, საავადმყოფოები, სპორტული ობიექტები, მაღაზიები, დასვენების, გასართობი და დასვენების ობიექტები და ა.შ.); წარმოების ინფრასტრუქტურა (კომუნალური და სამკურნალო საშუალებები, საინჟინრო ქსელები); საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა: ტრანსპორტი ყველა შესაბამისი მომსახურებით და საკომუნიკაციო სისტემებით. უფრო მეტიც, ბოლო ქვეჯგუფი გამოყოფილია პირობითად, მას შემდეგ ეს შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ

წარმოების ინფრასტრუქტურის ნაწილად (უშუალოდ როგორც ობიექტები) და ნაწილობრივ მეორე კომპონენტში (როგორც ბიზნეს ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას).

2. მეორე კომპონენტია ე.წ. ბიზნეს ინფრასტრუქტურა, რომელიც შედგება ორგანიზაციებისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ მეწარმეების საჭიროებებს, რომლებიც წარმოიქმნება მათი ფუნქციონირების პროცესში (მაგალითად, საინვესტიციო ფონდები, ბანკები, საფონდო და სასაქონლო ბირჟები, საინფორმაციო და ანალიტიკური, მარკეტინგის და ინოვაციების ცენტრები, სალიზინგო, აუდიტორული, საკონსულტაციო და სადაზღვევო ორგანიზაციები, სარეკლამო და დასაქმების სააგენტოები და ა.შ.).

ა. ბუსიგინი ხაზს უსვამს, რომ მეწარმე არ შეიძლება იქნეს გამოყოფილი სამეწარმეო ორგანიზაციისგან, ხოლო მ. ლაპუსტა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ შიდა სამეწარმეო გარემო "... პირდაპირ დამოკიდებულია თავად მეწარმეზე, მის კომპეტენციაზე, ნებისყოფაზე, თავდადებაზე, მისწრაფებათა დონეზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე ბიზნესის ორგანიზებაში და წარმართვაში". (M.Г.Лапусты, 2005:78)

ჩვენი აზრით, სწორია ამგვარი მიდგომა, რადგან სოციალური ინფრასტრუქტურა და ბიზნეს ინფრასტრუქტურა ერთად ქმნიან მეწარმეობის ინფრასტრუქტურას და სწორედ ისინი უზრუნველყოფენ აუცილებელ მხარდაჭერას და რესურსების არსებობას მეწარმეობისთვის, რათა განვითარდნენ და მიაღწიონ წარმატებას თავიანთ საწარმოებში. სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს საზოგადოების მხარდაჭერას და მეწარმეობის კულტურის დანერგვას საზოგადოებაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს სტარტაპების ზრდის ხელშეწყობაში. დამწყები მეწარმეები სოციალურ ინფრასტრუქტურაში პოულობენ მენტორობას და თანამშრომლობის სივრცეებს, ეს ყველაფერი აუცილებელია იდეების გაზიარებისა და გამოცდილი პროფესიონალებისგან ხელმძღვანელობის მისაღებად. ბიზნესისთვის ხელსაყრელი მარეგულირებელი გარემო კი უზრუნველყოფს სტაბილურობას. სოციალური და ბიზნეს ინფრასტრუქტურა ერთად ქმნის მეწარმეობისთვის ხელსაყრელ გარემოს, რაც საშუალებას აძლევს სტარტაპებს განახორციელონ სიახლეები, გაიზარდონ და წვლილი შეიტანონ ეკონომიკურ განვითარებაში.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ბიზნეს გარემო იყოფა მიკრო და მაკრო გარემოდ, რომლებიც ითვლება გარე გარემოს ელემენტებად და რომელთა განსხვავება განისაზღვრება ბიზნესის სუბიექტებზე გავლენის ხარისხით. ამავდროულად, არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს მოიაზრებენ მაკროგარემოში, ხოლო უშუალო გარემოს ელემენტები წარმოადგენენ მიკროგარემოს.

ამასთან ერთად, სხვა მოსაზრებაც არსებობს; ბ. სატკოვა მ. კუპკოვიჩთან ერთობლივ ნაშრომში ამტკიცებს, რომ მიკროგარემო უნდა გვესმოდეს, როგორც საწარმო და მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რაც ქმნის პირობებს მენეჯმენტისა და წარმოების საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის. (kolektfv, 2002:28)

ამ შემთხვევაში, მიკროგარემო შეიძლება იყოს შიდა (თავად ორგანიზაცია) და გარე (კონკურენტები, მომწოდებლები, ბაზრის შუამავლები და საზოგადოება).

ელემენტების ამგვარი მინიჭება მაკრო და მიკროგარემოზე, ჩვენი აზრით, სადავოა, იმის გამო, რომ "კონტაქტური აუდიტორია" არ ხდება მეწარმეების პირდაპირი გავლენის სფეროში და მათ არ აკონტროლებს ისინი. გარდა ამისა, მაკროგარემოს ფაქტორებს ასევე აქვთ გავლენა სამეწარმეო ორგანიზაციის მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესზე.

ჩვენ, მაკროგარემოს შევავსებდით, როგორც გარემოს, რომელიც ქმნის გლობალურ გარემოს და ზოგად პირობებს ბიზნესის სუბიექტების ფუნქციონირებისთვის, რომლებიც განსაზღვრავენ ამ უკანასკნელთა განვითარების ხასიათს, მიუხედავად თავად მეწარმეების კონტროლის მოქმედებებისა. მიკროგარემო არის ეკონომიკური აგენტების (კონკურენტები, მომხმარებლები და მომწოდებლები) და ინსტიტუციონალური ორგანიზაციების ერთობლიობა, აგრეთვე ურთიერთდამოკიდებულება მომხმარებლებსა და სახელმწიფოს შორის, რაც წარმოადგენს მეწარმეობის ბიზნეს ინფრასტრუქტურას. ამრიგად, ეს ყოველივე პირობითად ობიექტური ხასიათისაა, რადგან მეწარმეებს ამ ინსტიტუტებთან ქცევით და ურთიერთობის სისტემით შეუძლიათ გარკვეული რეაქციების გამოწვევა.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ


ჩვენი კვლევის მიზნებისთვის ასევე აუცილებელია განისაზღვროს კონცეფცია "ხელსაყრელი გარე გარემო", რომელსაც არ ჰყავს ერთი ინდივიდი ვინც ის გამოიგონა. ამის ნაცვლად, ეს არის კონცეფცია, რომელიც დროთა განმავლობაში განვითარდა, როდესაც მეცნიერები, მკვლევარები და პრაქტიკოსები აკვირდებოდნენ და აანალიზებდნენ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზაციების, ინიციატივების ან მცდელობების წარმატებას ან წარუმატებლობას მათ ფართო კონტექსტში. ჩვეულებრივ, ეს დაკავშირებულია გარე ეკონომიკურ პირობებთან, რაც ხელს უწყობს ბიზნეს სუბიექტების ეფექტურ ფუნქციონირებას და განვითარებას. ამაში იგულისხმება სხვადასხვა სამართლებრივი, საგადასახადო, ორგანიზაციული და სხვა პირობების კომპლექსი, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკური საქმიანობის შენარჩუნებას და განვითარებას სხვადასხვა ფორმით. ამრიგად, ობიექტური თვალსაზრისით, ხელსაყრელმა ბიზნეს გარემომ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნეს სუბიექტების აქტიურ გაჩენასა და განვითარებას. შესაბამისად, ჩვენ ვთვლით, რომ ბიზნესზე მოქმედი ხელსაყრელი გარე გარემო ეს არის სამეწარმეო სუბიექტების გარეგანი ფაქტორები, რომლებიც დადებითად აისახება მათ ფუნქციონირებაზე, ხელს უწყობენ სამეწარმეო ინიციატივას და ქმნიან პირობებს სამეწარმეო საქმიანობისა და სამეწარმეო სულისკვეთების განვითარებისათვის.

უცხოური ინვესტიციები მომგებიანი ბიზნეს გარემოს ფორმულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი გზაა განვითარებად ქვეყნებში. უცხოურ ინვესტიციათა ნაკადების შემოსვლა მიმდები ქვეყნის კეთილდღეობას ზრდის. ამ პროცესში ხდება ტექნოლოგიათა გადაცემა, იქმნება სამუშაო ადგილები, რასაც საბოლოოდ მივყავართ სახელმწიფო შემოსავლების გაუმჯობესებასთან, რაც სიღრმისეულად მესამე თავში განვიხილავთ. აღნიშნულ ძალებით იქმნება ძლიერი საგარეო ფაქტორი, რაც იწვევს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდასა და განვითარების პერსპექტივას. საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია ინვესტიციათა დაბანდებით, ადამიანურ კაპიტალში, რათა მოხდეს მათი სპეციალური პროფესიული ტრენინგებით გადამზადება, კვალიფიკაციას ამაღლება, რითაც სამუშაო ძალა შეძლებს ახალი ტექნოლოგიების ეფექტურად მართვას, მომავლის მრეწველობის დარგების განვითარებას, როგორცაა, ბიოტექნოლოგია.

უახლოეს წარსულში საქართველოში არსებული დამაბული და არასტაბილური ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო პროფესიული კონსულტირება და გადამზადება ყურადღების მიღმა დარჩა. თუმცა ევროკავშირის ხელშეწყობით 2007 წლიდან ევროპის განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც, ჩართულნი არიან უწყვეტი განათლების პროგრამაში (Life-long Learning Program), რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს უწყვეტი პროფესიული კონსულტირება და კარიერის დაგეგმვის განვითარება წარმოადგენს.

მეორე ევროპული პროექტი: „სიცოცხლის მანძილზე სწავლის უკეთესი შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივი პარტნიორობის მეშვეობით“, რომელიც განხორციელდა 17.09.2020 - 16.03.2023 პერიოდში, მოიცავდა უწყვეტი სწავლის უნარ-ჩვევების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის საქართველოს 6 სამიზნე რეგიონში (გურია, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, კახეთი, თბილისი და აჭარა). პროგრამის ფარგლებში მოხდა უნარების განვითარების ხარისხის გაუმჯობესება მომსახურების მიმწოდებელთა ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერების გზით და ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივის გაზრდა ძირითადი კომპეტენციების განვითარებით, ციფრული და სამეწარმეო კომპეტენციის ჩათვლით.

ბიზნესზე მოქმედი გარე ფაქტორების ერთობლიობა



წყარო: ნახაზი აგებულია ავტორის მიერ

2.2. ბიზნესგარემოზე მოქმედი შიდა ფაქტორები

სამეწარმეო გარემოს სტრუქტურა მოიცავს შიდა გარემოს, რომელიც შედგება იმ ელემენტებისგან, რომლებზეც მეწარმეს შეუძლია იქონიოს გავლენა და რომლის კონტროლიც შესაძლებელია. ორგანიზაციის სტანდარტული ფუნქციური განყოფილებები გამოირჩევა, მისი შემადგენელი ნაწილებისგან: წარმოება, ფინანსური და პერსონალის განყოფილება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, მარკეტინგი და გაყიდვები და სამეცნიერო-კვლევითი.


ჩვენი თვალსაზრისით, შიდა სამეწარმეო გარემოს სტრუქტურაში გამოირჩევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა გამოვარჩიოთ - თავად მეწარმე. რაც შიდა გარემოს არა მხოლოდ ობიექტურს, არამედ სუბიექტურსაც ხდის, როდესაც ცვლადების მდგომარეობა დამოკიდებულია მეწარმის პიროვნულ მახასიათებლებზე. ბიზნესის ოპერირების ძირითად წესებს ადგენს სახელმწიფო, შესაბამისი

საკანონმდებლო ბაზით. სწორედ კანონმდებლობაზეა დამოკიდებული რამდენად გამჭვირვალე, სამართლიანი და მოქნილია ბიზნესგარემო. თუმცა ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი თუ რამდენად ფლობენ მეწარმეები ინფორმაციას მათი საქმიანობის მარეგულირებელი კანონის თუ ნორმატიული აქტის შესახებ.

ვინაირად ბიზნეს-საქმიანობის მთავარ ფაქტორს მიწა, შრომა, კაპიტალი და მეწარმეობრივი უნარი წარმოადგენს, ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში დიფერენცირდებიან. ბიზნესის მსვლელობასთან ერთად იცვლება მათი ხარისხი და ფორმა/სახე. შიდა ფაქტორები არანაკლებ ახდენენ გავლენას ბიზნესგარემოზე; ისინი განპირობებულნი არიან შიდა ორგანიზაციის თავისებურებებით. ამ შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: მიზნები, სტრატეგია, სტრუქტურა, ამოცანები, ტექნოლოგია, პერსონალი, ძალაუფლება და საორგანიზაციო კულტურა. მათი საშუალებით ხდება ორგანიზაციაში საჭირო ცვლილებების გატარება და დასახული მიზნების მიღწევა.

ჩვენი აზრით, ბიზნეს გარემოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორები, როგორც ბიზნესზე მოქმედი შიდა ფაქტორები, დიდ გავლენას ახდენენ თავად ბიზნეს გარემოს შექმნაზეც. ქვეყანაში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა სწორედ, რომ პოლიტიკური გარემოს ფორმირებით იწყება. შემდგომ უკვე ეკონომიკური გარემო თამაშობს დიდ როლს ქვეყანაში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნაში. რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, ეს შეიძლება ყველაზე ფუნდამენტურ ნაწილად ჩაითვალოს, ვინაიდან ეს ფაქტორი ქმნის მიმზიდველ ბიზნეს გარემოს, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორთათვის.

ბიზნესის შიდა გარემოს სტრუქტურა



წყარო: ნახაზი აგებულია ავტორის მიერ

სახელმწიფო სტრუქტურები ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობით ქმნიან სახელმწიფოს იმიჯს. თუ კი ქვეყანაში ადგილი აქვს დაძაბულობას, მიტინგებსა და სამოქალაქო აქციებს რთულია ქვეყანამ მიიზიდოს ინვესტორი. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური გარემოს ამგვარი არასტაბილურობა, კერძოდ, ქვეყანაში ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის სახელს. პოლიტიკური ფაქტორი ასევე მოიცავს ქვეყანაში რამდენიმე იდეოლოგიის ერთდროულად არსებობას. ორი ყველაზე რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიებია: დემოკრატია და ტოტალიტარიზმი.

ამ ორი ურთიერთსაპირისპირო იდეოლოგიიდან მოდის სხვა მმართველობის სისტემები, რომლებიც ერთმანეთისგან მოქალაქეების ჩართულობის დონით განსხვავდებიან. აღსანიშნავია, რომ სწორედ პოლიტიკური გარემო განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებსაც.

ბიზნესის განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს ეკონომიკური გარემო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რთული ეკონომიკური რეალობის წინაშე დადგა ქართველი ერი. დაიწყო მძიმე გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც მოხდა

ეკონომიკური რეფორმების გატარება და საფუძველი ჩაეყარა ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. უპირველეს რეფორმებს შორის იყო საკუთრების უფლების აღიარებაზე ზრუნვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული ეკონომიკური რეფორმების გატარება დროის გასვლასთან ერთად კიდევ უფრო სისტემატურ ხასიათს იღებს.

ეკონომიკური ფაქტორი იყოფა სამ სახეობად:

1. კაპიტალისტური;
2. სოციალისტური;
3. შერეული.

ამ კლასიფიკაციის ყველაზე ადრეული მომხრე იყო ადამ სმიტი, რომელსაც ხშირად თანამედროვე ეკონომიკის მამად მოიხსენიებენ. 1776 წელს გამოქვეყნებულ თავის მთავარ ნაშრომში "ერების სიმდიდრე", სმიტმა განიხილა კაპიტალიზმის კონცეფცია, და ხაზი გაუსვა თავისუფალი ბაზრის მნიშვნელობას და ინდივიდუალური ინტერესების განვითარებას ეკონომიკური კეთილდღეობისთვის.


ჩვენი აზრით, ზემოთ ხსენებული დაყოფა არის ყველაზე ზუსტი და ფუნდამენტური კლასიფიკაცია, რადგან იგი ხაზს უსვამს სხვადასხვა საზოგადოებების მიერ მათი ეკონომიკის ორგანიზების მრავალფეროვან მიდგომებს. ჩვენ ინოვაციასა და ადაპტირებას მოვიაზრებთ, როგორც ეკონომიკური პროგრესისა და საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ მამოძრავებელ ძალას. სხვადასხვა ეკონომიკური სისტემები კი ამ მიზნებს სხვადასხვა გზით უახლოვდება. ეს ასპექტი კიდევ ერთ განზომილებას მატებს ეკონომიკური სისტემების კლასიფიკაციას და ხაზს უსვამს მათი გავლენის გათვალისწინების მნიშვნელობას ინოვაციებსა და გრძელვადიან ზრდაზე. კაპიტალისტურ ეკონომიკაში, კერძო საკუთრებითა და მოგებისკენ სწრაფვით შექმნილი სტიმულის სტრუქტურა ხელს უწყობს ინოვაციას და ადაპტირებას. მეწარმეები და ბიზნესი მოტივირებული არიან განავითარონ ახალი პროდუქტები, ტექნოლოგიები და ბიზნეს მოდელები, რათა მიიღონ კონკურენტული უპირატესობა და მაქსიმალური მოგება. მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმი შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც ნაკლებად ხელსაყრელი ინოვაციებისთვის, მისი აქცენტის გამო კოლექტიურ საკუთრებაზე და ცენტრალურ დაგეგმვაზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას მაინც შეუძლია ხელი შეუწყოს ინოვაციას გარკვეულ კონტექსტში. სოციალისტური საზოგადოებები ხშირად პრიორიტეტს ანიჭებენ ინვესტიციებს განათლებაში, კვლევებსა და საჯარო ინფრასტრუქტურაში, რამაც

შეიძლება შექმნას ხელსაყრელი გარემო ინოვაციისთვის. შერეული ეკონომიკა კი აერთიანებს კაპიტალიზმის დინამიზმს სოციალიზმის სოციალური კეთილდღეობის ასპექტებთან, რაც იძლევა ბალანსის საშუალებას ინოვაციასა და თანასწორობას შორის.

ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს წინსვლის პროცესი რეალურად დაიწყო 2003 წელს, როცა ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ახალი ხელისუფლება. ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი ისეთი საკანონმდებლო რეფორმების გატარებას, როგორებიცაა: საგადასახადო, საბაჟო, სალიცენზიო და სხვა.

საწარმოების განვითარებასა და ხელსაყრელი ბიზნეს კლიმატის შექმნაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა. ეს ფაქტორები ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობენ ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაში და მათ ზრდასა და წარმატებაზე. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs), რომლებიც გადამწყვეტი იყო ევროკავშირის პროგრესისთვის ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფუნქციონირებს მჭიდრო თანამშრომლობით მსხვილ კორპორაციებთან. როგორც დიაგრამა N°3-ში და N°4-ში არის განხილული, ევროკავშირში მცირე და საშუალო საწარმოები ჯამში ქმნიან ევროკავშირის მთლიანი ბრუნვის ნახევარზე მეტს და მათში ჯამურად დასაქმებულია დასაქმებულთა სრული რაოდენობის თითქმის 2/3 ნაწილი. ეს გარემოებები მიგვანიშნებენ იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტად განვითარდეს მცირე და საშუალო საწარმოების როლი და წილი საქართველოს ეკონომიკაში. ამისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციები და ტექნოლოგიები. ინოვაციების გლობალურ ინდექსში, სადაც საქართველოს 65-ე ადგილი აქვს, პირველ ათეულში მოხვდა ევროპის 7 ქვეყანა.

დიაგრამა 16: ინოვაციების გლობალური ინდექსი - TOP 10



წყარო: ინოვაციების გლობალური ინდექსი 2022

აღნიშნული დიაგრამა გვიჩვენებს ევროპული ქვეყნების უპირატესობას სხვა ქვეყნებისადმი ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტში, როგორც არის ინოვაციები და ტექნოლოგიების განვითარება. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისთვის მიღებული იქნა "მცირე და საშუალო საწარმოთა დაცვის ინტეგრირებული პროგრამა". პროგრამა მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებას. გარდა ამისა, ევროკავშირში პროფესიული სწავლების თვალსაზრისით შემუშავდა "ADaPT" პროგრამები, "ლეონარდოს" პროგრამა და ტექნოლოგიის კვლევისა და განვითარების პროგრამა, რომლის ფარგლებში ხდება ინდივიდებისა და ორგანიზაციების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

2.3. ევროპული გამოცდილება ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირებაში

საქართველოს ბიზნესის განვითარება აკმაყოფილებს მოქნილი შერეული ეკონომიკის ფორმირების გლობალურ ტენდენციებს, საკუთრების სხვადასხვა ფორმის კომბინაციას და შესაბამის ეკონომიკურ მოდელს, რომელშიც მოქმედებს

კონკურენტული ბაზრის მექანიზმი და სახელმწიფო რეგულირება. ამავე დროს, მცირე და საშუალო ბიზნესის წამყვანი სექტორი ხდება, რაც მეტწილად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, დასაქმებას, მთლიანი ეროვნული პროდუქტის სტრუქტურასა და მოცულობებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროკავშირის წარმატებულ განვითარებას ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფუნქციონირებენ მსხვილ ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამიტომ, ჩვენი აზრით, საინტერესოა ევროკავშირში მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების თანაფარდობის ანალიზი, როგორც ზოგადად, ასევე დარგობრივ კონტექსტში. მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირების ანალიზის სისტემური მიდგომა ითვალისწინებს ევროკავშირის რეგიონის ეკონომიკის მრავალდონიან სტრატეგიკაციას და ევროკომისიის მარეგულირებელი ინსტრუმენტების შესწავლას, გაერთიანებული ეროვნული ეკონომიკის მაკრო და მეზოეკონომიკურ დონეზე, ე.ი. ურთიერთქმედება მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტის საწარმოებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, კომპლექსებს, ინდუსტრიებსა და გაერთიანებულ ბაზრებს შორის.

სახელმწიფოს ეკონომიკური მიზანი ბიზნესთან მიმართებაში, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელი სექტორი, ჩვენი აზრით, შეიძლება განისაზღვროს რაოდენობრივი და თვისობრივი პარამეტრების სისტემის სახით, რომელიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგად. ამ პარამეტრებმა ბიზნესი შეიძლება გამოაფხიზლოს როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე სექტორულ და რეგიონალურ კონტექსტში. ეკონომიკური მიზნის მიღწევა დამოკიდებულია საწარმოების ფუნქციონირების მდგრადობაზე, საინვესტიციო პროცესების გააქტიურებაზე, ფინანსური და საკრედიტო სისტემის განვითარებაზე და შრომისა და კაპიტალის ბაზრების განვითარებაზე.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიული ამოცანაა არა მხოლოდ მცირე საწარმოების ფინანსური, მატერიალური, ტექნიკური და სხვა რესურსების გადაცემა, არამედ მათი გადარჩენის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პირობების, "იმუნიტეტის" შექმნა, ზრდისა და თვითკმარობის უზარა.

ეკონომიკური პირობები, პირველ რიგში მდგომარეობაა:

- კაპიტალის ბაზარის;

- შრომის ბაზარის;

- საინვესტიციო საქონლის, მიწის და სხვა უძრავი ქონების ობიექტების ჩათვლით სოციალური პირობები არის პოტენციური მყიდველების შესაძლებლობა და სურვილი შეიძინონ საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ გემოვნებასა და მოდას. ამ შემთხვევაში, მორალური და რელიგიური ნორმები, სოციალურ-კულტურული გარემოდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სტრატეგიული მიზნების ფორმულირების საფუძველზე, მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ტაქტიკა მოიცავს მათი მიღწევის გზებისა და მეთოდების არჩევას, ამისათვის საჭირო მექანიზმების შექმნასა და გაუმჯობესებას, ეკონომიკის რეალური მდგომარეობის, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი მიზნების გათვალისწინებით. სახელმწიფოს ტაქტიკური ამოცანები მცირე ბიზნესის განვითარებაში არის შემდეგი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობენ მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ფორმირებას.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიული ამოცანის გადასაჭრელად (მისი განვითარების ოპტიმალური ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პირობების შექმნა), ჩვენი მოსაზრებით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შედგება ფისკალური, სამეცნიერო და ტექნიკური, საინვესტიციო, საფასო, ფულად-საკრედიტო და სხვა სახის პროგრამებისგან, რომლის განხორციელებაშიც იგი კომპლექსში იყენებს როგორც პირდაპირ (ადმინისტრაციულ), ისე არაპირდაპირი (ეკონომიკური) მეთოდებს.

სახელმწიფო რეგულირების პირდაპირი მეთოდები ხორციელდება ორი ფორმით:

- 1) ადმინისტრაციულ-სამმართველო (პირდაპირი სუბსიდირებული დაფინანსების სახით, მცირე ბიზნესის განვითარების უშუალო ხელშეწყობის მიზნით მიღებული სპეციალური კანონების შესაბამისად). იგი მოიცავს: სუბსიდიებს, გრანტებს, საგადასახადო და ინვესტიციების წახალისებას, კომპენსაციებს, მეწარმეობის მხარდაჭერის ფონდებიდან გადახდებს, მთავრობის ბრძანებებს;

- 2) პროგრამაზე გათვლილი (მიზნობრივი პროგრამების დაფინანსების სახით, სადაც სახელმწიფო მოქმედებს როგორც მომხმარებელი).

სახელმწიფო რეგულირების არაპირდაპირი მეთოდები მიზნად ისახავს მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირებას, ეკონომიკის ამ სექტორის

საქმიანობისათვის ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალური კლიმატის შექმნას.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ჩამოყალიბებულია დასახული მიზნების შესაბამისად, არის მისი განხორციელების მექანიზმების შექმნა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება სახელმწიფო გავლენის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, კერძოდ:

- მარეგულირებელი და სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის საქმიანობის სპეციფიკურ პირობებს, სახელმწიფო დახმარების მეთოდებს და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს;

- სპეციალიზირებული ინსტიტუციების ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის მხარდაჭერისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, მათ შორის სამთავრობო ორგანოებს, არასამთავრობო ასოციაციებსა და ორგანიზაციებს, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალურ ინფრასტრუქტურულ საშუალებებს, შექმნილი და მოქმედებს როგორც სამთავრობო ორგანოებთან, ისე მათი გარეშე. მონაწილეობა (სახსრები, საკრედიტო, სადაზღვევო და საგარანტიო ინსტიტუტები, ტექნოლოგიური პარკები, ბიზნესის ინკუბატორები, ინდუსტრიული ზონები და ნაგავსაყრელები, ტრენინგი, კონსულტაცია, ინფორმაციისა და მომსახურების სტრუქტურები);

- სამთავრობო პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მცირე ბიზნესის გარკვეული მხარდაჭერის ზომებზე, ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებზე, რომლებიც შემუშავებულია მეწარმეების ინტერესების გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს ზომებს ინვესტიციების, დარგობრივი და რეგიონული განვითარების, დასაქმების ხელშესაწყობად. , მიგრაცია.

ამ სისტემის ჩამოთვლილი ელემენტები, ჩვენი აზრით, უნდა განხორციელდეს შემდეგ პირობებში მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის მთელი სისტემის ფუნქციონირებისთვის:

- ღიაობა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების, ასევე მისი განხორციელების პროცესში (სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სახელმწიფო დახმარების კონკრეტული ღონისძიებების შინაარსისა და მათზე წვდომის პირობების შესახებ, მცირე ბიზნესის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი ანგარიშების

| <i>მ.შ. მთავრობის ვალი</i> | 8 180 667,2 | 8 148 593,7 | -32 073,4 | 281 063,4 | 314 009,4 | 18 309,1 |
| სულ სახელმწიფო ვალი | 30 624 428,6 | 30 704 064,3 | 79 635,7 | 464 844,0 | 416 852,2 | 58 084,6 |
| <i>მ.შ. მთავრობის ვალი</i> | 29 618 160,5 | 29 688 823,5 | 70 663,0 | 464 844,0 | 418 828,9 | 59 171,3 |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს საგრძნობლად შემცირდა იმ თანხის რაოდენობა, რომელიც სხვა ქვეყნებმა ჩადეს ჩვენს სახელმწიფოში. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციები 52,9%-ით ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით. შენელებული ეკონომიკური აქტივობა და ეკონომიკური კლება შესაბამის უარყოფით

გავლენას ახდენს დასაქმების მაჩვენებლსაგრძობლად შემცირდა მომუშავე ქალების პროცენტი. ქვეყნის ეკონომიკა დაზარალდა Covid-19-ის გამო, მაგრამ მთავრობისთვის მნიშვნელოვანია მისი გამოსწორება და ეკონომიკის სწრაფი აღდგენა მათი უმთავრესი ამოცანაა. ლეზბეც და ტოვებს უფრო მეტ ადამიანს სამუშაოს გარეშე. უმუშევართა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 0,9%-ით გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ ადამიანების 18,5%-ს არ ჰქონდა სამუშაო. ეს შეეხო როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს.

დიაგრამა 26: უმუშევრობა საქართველოში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველო მიზანშეწონილ ადგილად ითვლება ბიზნესისთვის და ინვესტიციებისთვის. ეს არის საუკეთესო ქვეყანა კავკასიის რეგიონში. მაგრამ ზოგიერთი ინვესტორი არ ენდობა სასამართლოში ბიზნეს დავების სამართლიანად და სწრაფად გადაჭრას. ზოგიერთი ბიზნეს საკითხი სასამართლოში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში რჩება გადაუჭრელად, ვერდიქტის გარეშე. სხვა კომპანიები აცხადებენ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არაეფექტურია მუნიციპალურ დონეზეც და ხელისუფლება საკმარისს არ აკეთებს ხალხის იდეებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასაცავად. (სალომე თორაძე, ლევან ახალაია, გივი ბარამიძე, 2023:1)

საქართველოს, ქვეყანას, რომელიც ჯერ კიდევ იზრდება და სურს, რომ მისი ეკონომიკა უფრო სწრაფად განვითარდეს, ძნელია ამის გაკეთება, როდესაც ქვეყანაში

არ არის საკმარისი რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ შეიტანა არაერთი ცვლილება ეკონომიკის გასაუმჯობესებლად, საქართველომ უნდა დასახოს სამომავლო გეგმები, რაც დაეხმარება მას გახდეს წარმატებული ქვეყანა გრძელვადიან პერსპექტივაში.

ჩვენი აზრით, თითოეულ ახალ წამოწყებას ბიზნეს სექტორში უნდა მოჰყვებოდეს ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობა, რომელიც დაეხმარება ქვეყანას მეტი შემოსავლის მიღებაში. ეს არის მნიშვნელოვანი როგორც მთელ მსოფლიოში, ისე ლოკალურად. ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ იზრდებიან, განვითარებული ქვეყნები უნდა გახდეს ერთგვარი ორიენტირი ახალი იდეების გენერირებასა და დაფინანსებაში.

ერთ-ერთი გზა იმის გასაზომად, თუ რამდენად კარგია ქვეყანა ინოვაციურობაში, არის გლობალური ინოვაციის ინდექსის (GII) გამოყენება. ეს ინდექსი განიხილავს სხვადასხვა საკითხს, კერძოდ შვიდ კომპონენტს, როგორც არის, პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნესგარემო, ადამიან-კაპიტალი, სამეცნიერო კვლევები, ინფრასტრუქტურის არსებობა, და ცოდნა და ტექნოლოგიები.

ინდექსის მიხედვით, ინოვაციური თვალსაზრისით საუკეთესო ქვეყანაა შვეიცარია, შემდეგ მოდის შვედეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, აშშ და ფინეთი. საქართველო კი 128 ქვეყანას შორის 64-ე ადგილზეა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეიტინგი წლების განმავლობაში გაუმჯობესდა.

ზემოთ ხსენებული კომპონენტებიდან საქართველოს ძლიერი მხარეები იკვეთება შემდეგ კრიტერიუმებში: ბიზნესგარემო (მეექვსე ადგილი) და ბაზრის განვითარების დონე (მეშვიდე ადგილი). სუსტი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს განათლება (115-ე ადგილი), რაც ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება სამეცნიერო კვლევის სიმცირე და უნივერსიტეტების დაბალი რეიტინგი. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჩამოსცილდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტებში ჯერჯერობით სამეცნიერო სფერო დაბალრეიტინგულია, რის გამოც რეიტინგით საკმაოდ დაბალ, 103-ე ადგილზე ვართ. ჩვენი ქვეყანა ეფექტურად მუშაობს ინსტიტუციურ ნაწილში, მაგრამ ბაზრის განვითარების ნაწილი მცირედით თუ იცვლება.


საქართველოში ახალი იდეებისა და ინოვაციების წახალისების გამო სულ უფრო მეტი მცირე და საშუალო ბიზნესი იწყებს ფუნქციონირებას. რაც ბიზნესებს უფრო

კონკურენტუნარიანს ხდის, როგორც საკუთარ ქვეყანაში ისე სხვა ქვეყნებშიც (იზრდება SMS კონკურენტუნარიანობა), რაც ეხმარება მათ გაფართოებასა და განვითარებაში. ყოველივე ზემოთ თქმული, SME-ს მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიური დონის გაუმჯობესებას უსწყოფს ხელს.

იმისათვის, რომ მეტად ეფექტური გახდეს ეს პროცესი, ქვეყანამ უნდა განახორციელოს ისეთი ცვლილებები, როგორცაა ბიზნესის კანონებისა და წესების გაუმჯობესება, ფინანსების მოპოვებაში დახმარება და ასწავლოს ხალხს, როგორ დაიწყონ და მართონ საკუთარი ბიზნესი, აამაღლონ ფინანსური განათლება საზოგადოებაში. ქვეყანამ ასევე უნდა წახალისოს ბიზნესი, რათა პროდუქცია სხვა ქვეყნებში გაიტანონ და გაიზარდოს ექსპორტის წილი ეკონომიკაში. საერთო ჯამში, საქართველომ მეტ-ნაკლებად მიაღწია პროგრესს ამ სფეროებში, მაგრამ ჯერ კიდევ არის გარკვეული გამოწვევების გადალახვის აუცილებლობა, რაც უკავშირდება ადამიანურ კაპიტალს და კვლევებს, ცოდნასა და ტექნოლოგიებს.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათ ანალიზსა და პრევენციას. ამგვარი კრიტიკული წინაღობების შედგენა ხორციელდება ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდით (Growth Diagnostic Method), ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს გადაწყვეტილებათა ვერტიკალის გამოყენებით გამოვლენილ ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორებს.

ფიგურა 3: ინვესტიციებისა და მეწარმეობის დონეები



წყარო: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020

აღნიშნული კრიტიკული პრობლემების დადგენისას გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

3.3 სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და განვითარების სტრატეგია

ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმულირებითა და სავაჭრო ურთერთობების გამრავალფეროვნებით, სახელმწიფო ცდილობს ვაჭრობის გამარტივებას. საქართველოს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ფართო ქსელი, რომელშიც მოიაზრება არაერთი მოლაპარაკება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს EFTA - თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფო თანამეგობრობასთან და თურქეთთან. თანამეგობრობის სახელმწიფოებს: „Commonwealth of Independent States“ ეწოდება.

აქვე უნდა ითქვას, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთთან და ჰონგ-კონგთან და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) WTO-ს წევრ ქვეყნებთან (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია).

თავდაპირველად საქართველოს უჭირდა საკუთარი, დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნა, ვინაიდან ქვეყანაში მძვინვარებდა როგორც სამოქალაქო დაპირისპირება, ისე საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. გარდა ამისა, შემცირდა ტრადიციული მომწოდებელთა რაოდენობა და იგრძნობოდა ახალი წყაროების არარსებობა. ამ ყოველივეს შედეგად მივიღეთ ეკონომიკური დაქვეითება, ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის უპრეცედენტო ზრდა. სახელმწიფოს მოუწია დიდი ცვლილებების განხორციელება, რათა გამოესწორებინა სიტუაცია. ეკონომიკური რეფორმების ეტაპობრივად იმპლიმენტაციის მიუხედავად იმისა, ვითარება გაუმჯობესდა, თუმცა მან სასურველი შედეგი მაინც ვერ მოგვცა და უმუშევრობა და სიღარიბის დონე კვლავ გადაუჭრელ პრობლემად დარჩა.

წინა წლებში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებლისა, მოსახლეობის უმეტესობის მდგომარეობა არ შეცვლილა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიზანი გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის შექმნასთან და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებით უცვლელი რჩება.

ვინაიდან ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია, საქართველოს მთავრობა ცდილობს არ გადაუხვიოს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარების კურსს ევროპული ღირებულებების მხარდაჭერაით.

ჩვენი აზრით, ქვეყანას ეკონომიკის გაუმჯობესების მთავარი პრინციპი უნდა იყოს შემდეგი: მიეცეს კერძო სექტორს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება. მთავრობამ უნდა იზრუნოს ქვეყნის შიგნით სამართლიანობისა და გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვაზე და დაცული იყოს საკუთრების უფლების უზენაესობა. ამ გზით თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები შერწყმული იქნება სახელმწიფო რეგულაციების ოპტიმალურ მოდელთან. ოპტიმალურ და ეფექტიანობის ასამაღლებელ პრინციპებზე დაყრდნობით, სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩაერიოს სამეწარმეო საქმიანობაში. ხოლო სახელმწიფოს ჩართულობა ეკონომიკურ აქტივობაში მაშინ იქნება გამართლებული, როცა იგი შემოიფარგლება მხოლოდ იმ

სფეროებში ოპერირებით, სადაც კერძო სექტორი არაეფექტიან საქმიანობას ანხორციელებს.

გარდა ამისა, ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კეთილდღეობის ზრდას შეძლებს უმუშევრობის დონის შემცირებით. მოსახლეობას საბაზისო სოციალური გარანტიებით და უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარებით, სახელმწიფო შეძლებს მოსახლეობაში კეთილდღეობის ამაღლებას.

სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი ფაქტების და მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემად კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა იკვეთება, არასათანადოდ განვითარებულ ადამიანური კაპიტალთან და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობასთან ერთად. სწორედ ამიტომ, ხელისუფლებამ სასურველია წახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას სამართლიანი და ნაკლებრისკიანი ბიზნესგარემო. აგრეთვე, მთავრობამ უნდა შეძლოს ბიზნესის განვითარების სტიმულირება, რისი მიღწევა შესაძლებელია ინოვაციების და სამეწარმეო უნარების განვითარებით მოსახლეობაში და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობით, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საფუძველია. გარდა ამისა, კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია საზოგადოებისთვის საბაზისო სოციალური დაცვის სისტემის შექმნის და შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფის გარეშე. უახლოეს წარსულში, ერთ-ერთი რამ, რაც დაეხმარა ეკონომიკის ზრდას, იყო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ხელი უნდა შეეწყოს ახალი ცოდნის გავრცელებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში, რის შედეგადაც გაიზრდებოდა ექსპორტი და შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები. სამწუხაროდ, ეს ყოველივე არ განხორციელდა იმ მასშტაბით, რომ უზრუნველყოფილიყო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა. კერძოდ, ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო კაპიტალტევად დარგებში, რომლებიც მცირე დასაქმების მოცულობით ხასიათდება.

ცხრილი 8: დასაქმება და უმუშევრობა


| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023-I | 2023-II |
|----------------------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|---------|
| სამუშაო ძალა, ათასი კაცი | 1629.0 | 1675.6 | 1653.8 | 1641.4 | 1605.2 | 1572.8 | 1523.7 | 1533.6 | 1551.6 | 1551.1 | 1594.3 |
| დასაქმებული, ათასი კაცი | 1255.0 | 1308.5 | 1294.5 | 1286.9 | 1296.2 | 1295.9 | 1241.8 | 1217.4 | 1283.7 | 1271.9 | 1327.4 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 374.0 | 367.2 | 359.2 | 354.5 | 309.0 | 276.9 | 281.9 | 316.2 | 267.9 | 279.2 | 266.9 |
| უმუშევრობის დონე, პროცენტი | 23.0 | 21.9 | 21.7 | 21.6 | 19.2 | 17.6 | 18.5 | 20.6 | 17.3 | 18.0 | 16.7 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გარდა ამისა, ეკონომიკურმა პოლიტიკამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით. იმპორტის მოცულობამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ექსპორტის წილს, რამაც სახეზე მოგვცა უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდო. ეს კი სერიოზულ მაკროეკონომიკურ რისკს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის.

გარდა ამისა, საქართველოს საგარეო ვალის დონე საკმაოდ მაღალია, ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანა დამოკიდებულია ინფრასტრუქტურული პროექტების საგარეო დაფინანსებაზე და საბიუჯეტო მხარდაჭერაზე. საგარეო ვალის დონის მართვა განვითარებისთვის მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფისას გადამწყვეტია ვალის პრობლემების თავიდან ასაცილებლად და ინვესტიციების ნდობის შესანარჩუნებლად. ბიუჯეტის დეფიციტი, თავის მხრივ, ზეწოლას ახდენს საქართველოს ფისკალურ მდგომარეობაზე, რამაც გამოიწვია სესხების აღება და საგარეო დაფინანსებაზე დამოკიდებულება. ბიუჯეტის დეფიციტის მოგვარება შემოსავლების მობილიზაციის, ხარჯების რაციონალიზაციისა და ფისკალური მენეჯმენტის გაუმჯობესების გზით აუცილებელია ფისკალური მდგრადობისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2020-2023 წლების იანვარში
(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

GINI (ჯინის) კოეფიციენტი, რომელიც არის მოსახლეობის შემოსავლების უთანასწორობის საზომი, ჩვეულებრივ გამოიყენება ქვეყნის ინდივიდებსა და ოჯახებს შორის სიმდიდრის ან შემოსავლის განაწილების შესაფასებლად. ის მერყეობს 0-დან 1-მდე, სადაც 0 წარმოადგენს სრულყოფილ თანასწორობას (ყველას აქვს ერთი და იგივე შემოსავალი) და 1 წარმოადგენს სრულყოფილ უთანასწორობას (ერთ ადამიანს აქვს მთელი შემოსავალი, ხოლო სხვებს არა აქვთ).

საქართველოს კონტექსტში, ჯინის კოეფიციენტს შეუძლია მოგვაწოდოს ღირებული ინფორმაცია შემოსავლისა და სიმდიდრის განაწილების შესახებ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში. შემოსავლების უთანასწორობის მაღალმა დონემ შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე და გრძელვადიან ზრდის პერსპექტივაზე. უთანასწორობის აღმოფხვრა კი პირიქით ხელს შეუწყობს სოციალურ სტაბილურობას, შეამცირებს სოციალურ დაძაბულობას და შექმნის უფრო ხელსაყრელ გარემოს ინვესტიციების, მეწარმეობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის.

ცხრილი 9: სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, % | 26.2 | 23.5 | 21.6 | 22.0 | 21.9 | 20.1 | 19.5 | 21.3 | 17.5 | 15.6 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, წინა წლების ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი გვაძლევს ორი ძირითადი დასკვნის გაკეთების საშუალებას:

გასული ათწლეულის მანძილზე ეკონომიკური პოლიტიკის მიერ ინვესტიციების წარმატებით მოზიდვის და მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიუხედავად მან ვერ ჩაუყარა საფუძველი საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდას. მეორე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგები არ აისახა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე და ვერც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლებების შემცირებაზე, როგორც წარსულის, ისე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, მთავრობამ უნდა გაამახვილოს ყურადღება საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რათა დაეხმაროს ქვეყანაში მათ მზარდ განვითარებას:

1. სამეწარმეო უნარების განვითარება;
2. ინტერნაციონალიზაციის წახალისება;
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

რეგულირების ზემოქმედების შეფასების (RIA) სისტემა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ყველაფერმა ეფექტურად იმუშაოს. დროთა განმავლობაში RIA გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც აქვს გარკვეული შეზღუდვები. ის არ შეიცავს ტესტს (RIA SME Test) მცირე ბიზნესისთვის და მოიცავს მხოლოდ ცვლილებებს, რომლებსაც მთავრობა იწყებს გარკვეულ კანონებში.

მიუხედავად ბოლო წლებში მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის მცდელობებისა, ამ მიმართულებით აუცილებელია გადაიდგას უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც, მოიაზრებს მცირე და საშუალო საწარმოების დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან. ქვეყანამ მიაღწია გარკვეულ პროგრესს ინფორმაციის მიღებაში, როგორცაა ბიზნესების განსაზღვრის მეთოდის შეცვლა და მათი საქმიანობის გარკვეულ სფეროებში თვალყურის დევნება. მიუხედავად ამისა, არის რამდენიმე სფერო, სადაც არ ხდება ინფორმაციას აღრიცხვა, რაც ართულებს იმის გაგებას, თუ როგორ იზრდება ეს ბიზნესები და მათზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ფაქტობრივად არ ხდება.

ვინაიდან კომერციული დავების ეფექტიანად მოგვარების საკითხი კვლავ პრობლემატურია, აუცილებელია მისი აღმოფხვრა ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს არსებობისთვის. მიუხედავად აქამდე მიღწეული წინსვლისა, რაც აისახა კიდევ საერთაშორისო შეფასებაში, როგორცაა ბიზნესის კეთების ანგარიში, სადაც ნათქვამია,

რომ ჩვენი ქვეყანა მე-12 ადგილს იკავებს ხელშეკრულებების აღსრულების მხრივ, რეალურად მაინც არსებობს მრავალი დაუმთავრებელი სასამართო დავა, რაც მიუთითებს სასამართლოს დაბალკვალიფიციურობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი მეთოდიკა ხელმისაწვდომია საქართველოში, თუმცა, მათი გამოყენება პრაქტიკაში ნაკლებად ხდება და შესაბამისად მეწარმეთა ცნობიერებაც ამ მიმართულებით დაბალია. რაც შეეხება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის წარმოქმნილ დავებს ან კანონმდებლობაში თუ პრაქტიკაში არსებულ პრობლემურ საკითხებს შეგვიძლია განვიხილოთ ბიზნეს-ომბუცმენი, რომელიც ფიგურირებს, როგორც შუამავალი სახელმწიფო სტრუქტურასა და კომპანიებს შორის.

ბიზნესის კეთების ხელშეწყობის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ამოცანაა არაკვალიფიციური სამუშაო ძალის დატრენინდგება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება მოკლევადიან პერიოდში. ჩვენი აზრით, ამავდროულად აუცილებელია პროფესიული განათლების განვითარების გზით მისი კომპლექსური გადაწყვეტა, ვინაიდან პროფესიულგანათლებას შეუძლია მოამზადოს მაღალ-კვალიფიციური მუშა-ხელი და განუვითაროს მას პროფესიასთან დაკავშირებული უნარები, გარდა ამისა, მოხდეს იმ პირების გადამზადება და შრომის ბაზარზე დაბრუნება, რომელთა

უნარები აღარ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ამის საპასუხოდ საგანმანათლებლო აქტივობების შემოღებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარდა ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და მეწარმეობის სწავლება გახდა საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კომპონენტი.


თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება, სამეწარმეო უნარების გაუმჯობესებასთან ერთად, ჩვენი აზრით, აამაღლებს მცირე და საშუალო მეწარმეების კონკურენტუნარიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს ბიზნესის დანერგვის, განვითარების და მარკეტინგისთვის საჭირო უნარების ცოდნის ამაღლება, რაც არის აპრიორი წარმატებული საქმიანობისა. ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების საკითხები განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა.

მიუხედავად SMEs-ს წილისა და გავლენის ზრდისა ქვეყნის ეკონომიკაში ფინანსებზე წვდომა კვლავ რჩება დაბრკოლებად. ჩვენი აზრით, აუდიტი, მიუხედავად იმისა, რომ საანდოობის გაზრდაზე ფოკუსირებული ორგანოა, აუცილებელია მკაცრად მოხდეს სწორედ მისი ხარისხის კონტროლი. ასევე, შესაძლოა EU-სთან დაახლოების შემდეგ გაიზარდა ვენჩერული კაპიტალი, თუმცა SMEs-ის განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა აქტორების საკანონმდებლო ბაზის შექმნაში ჩართულობა. თუ კი წინა პლანზე წამოიწევეს Venture Capital და Business Angel ეკოსისტემის შექმნა, ქვეყანაში გაიზარდება სარისკო ინვესტიების შემოდინება.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ინტერნაციოლანიზაციას აუცილებელია გადაიჭრას საწარმოების და მეწარმეების კონკურენტუნარიანობის საკითხი. ევროპულ ბაზარზე ფეხის მოკიდებისთვის საჭიროა მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება, რაც, თავის მხრივ, დროს, კვალიფიკაციასა და ფინანსურ სახსრებს მოითხოვს. ამისთვის, ჩვენი აზრით, სტრუქტურირებული ბაზარი მეწარმე/სამეწარმეო სუბიექტებსა და მიმწოდებლებს შორის დააკავშირებს SMEs-ის საერთაშორისო კომპანიებთან. გარდა ამისა, საჭიროა ინოვაციების მაღალი მაჩვენებელი ჰქონდეს ქვეყანას, რაც მიუთითებს საწარმოების ეფექტურობასა და მაღალ დამატებით ღირებულებაზე. არსებული საპირისპირო რეალობის გამომწვევი მიზეზი მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებია, ხოლო კერძო დაფინანსება არც თუ ისე აქტუალურია. ამჟამად არ გვაქვს ქვეყანაში დაფინანსების მოზიდვის ორგანო, რასაც ემატება კაპიტარის ბაზრის განვითარების დაბალი ხარისხი და შეზღუდული საბანკო დაფინანსება.

მეტად მწვავე საკითხია ქალთა უფლებები სამეწარმეო სფეროში. 2023 წლის II კვარტალში აღნიშნული სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში 42.9 პროცენტს, ხოლო კაცებში 65.1 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში გაზრდილია 2.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.9 პროცენტული პუნქტით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით 2019-2023 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა 27: სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ პრობლემა მეტად მწვავევა რეგიონებში, რის გამოც აუცილებელია სახელმწიფო პროგრამების დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასევე, ჩვენ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ამ პროგრამების შედეგების გენდერულ ჭრილში შეფასებასა და ანალიზს, რაც შექმნის ობიექტურ სურათს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

ჩვენ მიერ დასახული გეგმის შესრულების შემთხვევაში, გეგმას კოორდინაციას გაუწევს მმართველობითი საბჭო სამუშაო ჯგუფთან ერთად, ხოლო სამდივნო როლი დაეკისრება ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტს.

ევროპული გამოცდილების და მექანიზმების გამოყენებით, საქართველოს შეუძლია დააჩქაროს თავისი ეკონომიკური განვითარება, გააძლიეროს

კონკურენტუნარიანობა და მიაღწიოს მიზნებს - მდგრადი ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნით. ევროკავშირთან თანამშრომლობა საქართველოს სწავლის, ინოვაციების და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს.

საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის ბიზნეს გარემოს სრულყოფისთვის, გამოვეყთ რამდენიმე საკვანძო ინდუსტრია, რომელსაც, ჩვენი აზრით, ზრდისა და ინოვაციის ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს, ევროპულ მიდგომებთან და გამოცდილებებთან სინთეზის შემთხვევაში. აქ მოცემულია ამ სექტორების აღწერა და მათი განვითარების გეგმა:

ტექნოლოგია და ინოვაცია

ტექნოლოგიების სექტორი მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სერვისებს, ციფრულ გადაწყვეტილებებს და ინოვაციებზე ორიენტირებულ ინდუსტრიებს. ინდუსტრია 4.0 ტექნოლოგიებისკენ გლობალური ცვლასთან ერთად, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი, გამოიყენოს თავისი მუშახელი, რომ გახდეს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების რეგიონალური ცენტრი.

განვითარების გეგმა:

- მარეგულირებელი გარემოს გამარტივება ტექნოლოგიური სტარტაპებისთვის, მათ შორის გამარტივებული რეგისტრაციის პროცესების, საგადასახადო შეღავათებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჩათვლით.

- ინვესტიცია ციფრულ ინფრასტრუქტურასა და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ჰაბებისა და ინკუბატორების დაარსება.

- კვლევისა და განვითარების (R&D) ინიციატივების დაფინანსება და მხარდაჭერა, ტექნოლოგიების გადაცემა და ინოვაციური გადაწყვეტილებების კომერციალიზაცია.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანი სექტორია საქართველოში, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ნაყოფიერი მიწით, ხელსაყრელი კლიმატური პირობებით და მდიდარი სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობით გამოირჩევა. აგრობიზნესი მოიცავს ფერმერულ მეურნეობას, საკვების გადამამუშავებას, აგროტექნოლოგიურ და

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტს, რაც დამატებითი ღირებულების წარმოების, მდგრადი პრაქტიკისა და ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

განვითარების გეგმა:

- ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობის სერვისების გაფართოება სასწავლო პროგრამების და მოდერნიზაციისა და პროდუქტიულობის გაზრდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის მეშვეობით.

- აქცენტირება მსხვილ ფერმერებზე და დიდი ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;

- მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების ხელისშეწყობა, მათ შორის ორგანული მეურნეობა, მოსავლის დივერსიფიკაცია და წყლის რესურსების მართვა, რათა გაიზარდოს მდგრადობა კლიმატის ცვლილების მიმართ.

- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობაში, როგორცაა ზუსტი ფერმერული მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო დრონები, რათა გაიზარდოს პროდუქტიულობა და ეფექტურობა.

ტურიზმი

ტურიზმი, ჩვენი აზრით, სასიცოცხლო მნიშვნელობის სექტორია საქართველოს ეკონომიკისთვის, რასაც განაპირობებს მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, მრავალფეროვანი ლანდშაფტები და ისტორიული ღირსშესანიშნაობები. ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრია მოიცავს საცხოვრებელს, ტრანსპორტირებას, ატრაქციონებსა და ტურისტულ მომსახურებას, რაც საერთო ჯამში ემსახურება სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების გენერირებას და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობების წარმოშობას.

განვითარების გეგმა:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის სასტუმროები, აეროპორტები, გზები და ტურისტული ატრაქციონები, რათა შესაბამისად გაუმჯობესდეს ვიზიტორთა გამოცდილება და მოიზიდოს მეტი საერთაშორისო ტურისტი.

- ახალი, უპირატესად დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიების შემოყვანა საქართველოში.

- ინვესტიციის ჩადება მარკეტინგულ და სარეკლამო კამპანიებში საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ასამაღლებლად.

- ადამიანური კაპიტალის განვითარება ტურიზმის ინდუსტრიაში პროფესიული სწავლების, ენის ცოდნის განვითარებისა და სტუმართმასპინძლობის (hospitality) მენეჯმენტის პროგრამების მეშვეობით მომსახურების ხარისხისა და პროფესიონალიზმის გასაუმჯობესებლად.

წარმოება

წარმოება გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში, ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიების შესაძლებლობებით, როგორცაა ტექსტილი, საავტომობილო კომპონენტები, ელექტრონიკა და ფარმაცევტული მრეწველობა. სტრატეგიული მდებარეობის, კვალიფიციური მუშახელისა და შეღავათიანი სავაჭრო ხელშეკრულებების გამოყენებით, საქართველოს შეუძლია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტუნარიანი წარმოების სექტორების განვითარება.

განვითარების გეგმა:

- წარმოებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) წახალისების უზრუნველყოფა, მათ შორის, საგადასახადო და საბაჟო გადასახადის შეღავათები.

- ინდუსტრიული, სპეციალური ეკონომიკური ზონების (SEZ) და ექსპორტის გადამამუშავებელი ზონების (EPZs) განვითარების მხარდაჭერა ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად და საწარმოო საქმიანობის ლოჯისტიკური მხარდაჭერისთვის.

- მიწოდების ჯაჭვის კავშირების და სატრანსპორტო ქსელების გაძლიერება, რათა ხელი შეუწყოს საქონლისა და ნედლეულის გადაადგილებას საწარმოო ობიექტებში და უკან.

ინფრასტრუქტურა

ქვეყნის ინფრასტრუქტურა დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. გზების ხარისხი, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი და კომუნიკაციები ავითარებენ და ახალ შესაძლებლობებს აძლევენ ბიზნესს. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა საფუძველია იმისა, რომ ის იყოს სატრანსპორტო კვანძი რეგიონში. ამავდროულად, ქართულ ბიზნესს ჰქონდეს საშუალება, იოლად მოახდინოს თავისი საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ხელსაყრელ ბაზრებზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბიზნესითვის არ არის ხელმისაწვდომი ის ლოჯისტიკური ჯაჭვი, რაც მას დაეხმარებოდა საქონლის ექსპორტში.

განვითარების გეგმა:

- სარკინიგზო გადაზიდვებისა და სამგზავრო გადაყვანების როლის გაზრდა და ამ მხრივ საქართველოს ტრანზიტულ ქვეყნად ქცევა. თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის ექსპლუატაციაში შეყვანა;

- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ქვეყნის რეგიონების ერთმანეთთან სხვადასხვა ალტერნატიული სატრანსპორტო გზებით დაკავშირება;

- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის განახლება, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალთან ერთად საშუალებას მისცემს აზერბაიჯანის გავლით შუა აზიიდან და ჩინეთიდან ტვირთების ტრანზიტის გაზრდას.

- ევროკავშირში საზღვაო მიმოსვლის სიხშირის გაზრდის მიზნით სამთავრობო მოლაპარაკებების დაწყება.

თითოეული ჩვენ მიერ შემოთავაზებული სექტორი იყენებს საქართველოს არსებულ ძლიერ მხარეებსა და რესურსებს. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული იქნება ქვეყნის ნაყოფიერი მიწა და ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ხოლო ტურიზმის სფეროში საქართველოს მდიდარი კულტურულ მემკვიდრეობა და მრავალფეროვანი ლანდშაფტი.

მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიული ამოცანის გადასაჭრელად (მისი განვითარების ოპტიმალური ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პირობების შექმნა), ჩვენი მოსაზრებით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შედგება ფისკალური, სამეცნიერო და ტექნიკური, საინვესტიციო, საფასო, ფულად-საკრედიტო და სხვა სახის პროგრამებისგან, რომლის განხორციელებაშიც იგი კომპლექსში იყენებს როგორც პირდაპირ (ადმინისტრაციულ), ისე არაპირდაპირი (ეკონომიკური) მეთოდებს.

განხორციელებული კვლევის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ ზოგადი **დასკვნები და რეკომენდაციები** სახელმწიფოს მიერ ბიზნეს გარემოს განვითარების მიზნით:

1. საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, კვლავ აქტუალურია განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებთან ორმხრივ სარგებლიანი თანამშრომლობის შესაძლებლობების ოპტიმალური გამოყენება.

2. საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას კვლავ წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდა, სოციალური განვითარების დაჩქარების აუცილებლობის ფონზე.

3. საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა მას სტრატეგიულ სატრანზიტო ფუნქციას ანიჭებს. აუცილებელია ამ ფუნქციის სათანადო გამოყენება, საგზაო ინფრასტრუქტურისა და ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტის აშენება. „შუა დერეფნის“ პროექტის მეშვეობით მნიშვნელოვნად გაიზარდება ტვირთბრუნვაზე მოთხოვნა.

4. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ ქართულ ბიზნესს მისცა პროდუქციის ექსპორტზე გატანის მეტი შესაძლებლობა. თუმცა, ამ ეტაპზე ბიზნესისთვის მთლიანად ხელმისაწვდომი არაა ლოჯისტიკური ჯაჭვის პოვნა, რომელიც დაეხმარებოდა მას თავისი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გასატანად. ამის ერთერთი მიზეზი ჩვენი აზრით არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პროდუქციის ცნობადობის ნაკლებობა. მათ შორის, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის სიმცირე საქართველოსა და ევროპას შორის, საჭირო დოკუმენტაციაზე წვდომის სირთულეები და სხვა. აღნიშნული საკითხის დარეგულირება სახელმწიფოს მმართველობითი უფლებამოსილებაა და შესაბამისად, უნდა მოხდეს მაქსიმალურად მეტ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება, შესაბამისი მატერიალური ბაზის შექმნა.

5. საქართველოს ესაჭიროება ტურიზმის დარგის განვითარებისთვის რიგი ღონისძიებების გატარება. ამისათვის საჭიროა როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ასევე ქვეყნის, როგორც ერთერთი საინტერესო და მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების რეკლამირება მსოფლიო მასშტაბით. მნიშვნელოვანია საერთაშორისო დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიების მოზიდვა საქართველოში.

6. ბიზნეს გარემოს ეფექტიანობისთვის არსებითია ინოვაციური და ტექნოლოგიური ცოდნა და განვითარება. ევროკავშირის ქვეყნების მაგალითები აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით საწარმოებმა დანერგეს ახალი ტექნოლოგიები, რისი შედეგიცაა მათი წარმატება თავიანთ დარგში მსოფლიო მასშტაბით. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ახალი ტექნოლოგიების წახალისება და შექმნეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გარანტიები.

7. ევროკავშირის სახელმწიფოებმა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება მოახდინეს ბიზნესისთვის ახალი ცოდნის მიწოდებით. სახელმწიფომ, გარდა შეღავათიანი კრედიტებისა, უნდა მოახდინოს სასწავლო პროგრამების და საჭირო სპეციფიკური მახასიათებლების მიწოდება მეწარმეებისთვის.

8. საქართველოში ბიზნესის ხელშეწყობის ერთერთი მთავარი ინსტრუმენტია შეღავათიანი კრედიტი, რაც ნიშნავს სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან, ასევე სესხის ძირი თანხის გადახდის დაწყებას 2 წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ. ევროკავშირის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ დარგების მიხედვით საშეღავათო პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს 10 წლამდე. უპრიანია, კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება და საშეღავათო პერიოდი განისაზღვროს დარგების მიხედვით და მისი სირთულის და რენტაბელობის გათვალისწინებით მოხდეს საშეღავათო პერიოდის განსაზღვრა.

9. საქართველოში კვლავ ძნელად მისაწვდომია კაპიტალის ბაზარი. ბოლო პერიოდში შეინიშნება აქტიურობა ობლიგაციების პირველად ბაზარზე, თუმცა ეს მხოლოდ მსხვილი კომპანიების პრეროგატივაა და შესაბამისად, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესისთვის დაფინანსების მოპოვების ერთერთი (შეიძლება ერთადერთიც) გზა არის ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც თავის მხრივ ახალდაფუძნებულ ბიზნესზე სესხს არ გასცემენ. რეკომენდირებულია, სახელმწიფომ შექმნას შესაძლებლობა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ამჟამინდელი კანონმდებლობა, თითქმის შეუძლებელს ხდის მცირე საწარმოებისთვის ფასიანი ქაღალდების გამოშვებას მათი საკანონმდებლო სირთულისა და დანახარჯების გამო.

10. საქართველო ახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან. აღნიშნული პროცესი დინამიურია და წლების განმავლობაში გაგრძელდება. იგი დადებით გავლენას მოახდენს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე, მათ შორის სამეწარმეო და საბაჟო კანონმდებლობაზე. აღნიშნულის დანერგვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპი - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“, რათა ახალი კანონმდებლობით შემოღებული რეგულაციები მძიმე ტვირთად არ დააწვეს მცირე და საშუალო საწარმოებს და არ გახდეს მათი განვითარება-გამლიერების შეფერხების გამომწვევი მიზეზი.

11. მნიშვნელოვანია სასამართლო დავების სწრაფი გადაწყვეტა ან ალტერნატიული მოგვარების მექანიზმების (მედიაცია, არბიტრაჟი) გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიმართულებები ხელმისაწვდომია საქართველოში, თუმცა, მათი გამოყენება პრაქტიკაში ნაკლებად ხდება და შესაბამისად მეწარმეთა ცნობიერებაც ამ მიმართულებით დაბალია. რაც შეეხება სასამართლო დავებს - ისინი წლების მანძილზე იწელება, რაც უმეტეს შემთხვევაში რთულ სიტუაციაში აყევებს მეწარმეს, რადგანაც მას დავის დასრულებამდე დაყადაღებული აქვს ქონება და ვერ ახდენს მის განკარგვას.

12. ქვეყანაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ეფექტური მექანიზმის დანერგვა, რაც გულისხმობს ადრეულ ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში ბიზნესის ჩართულობას. ამჟამად საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი ტარდება ბიზნეს-ომბუდსმენის და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ. კერძოდ, არსებობს სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფი. თუმცა, უნდა მოხდეს აღნიშნული პლატფორმების განვითარება, უფრო მეტი მეწარმის ჩართულობა, რადგან მათ გამართულ ფუნქციონირებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს შექმნაში.

13. აუცილებელია ვენჩურული კაპიტალის აქტორების გაზრდილი მონაწილეობა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის პროცესში, აღნიშნულ სფეროებში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის ხელშესაწყობად. ამ შემთხვევაში ქვეყნის შიგნით სარისკო ინვესტიციების განხორციელებისთვის და სათანადო განათლებისა და საერთაშორისო გამოცდილების სარისკო ფონდების მენეჯერთა მომზადებით Venture Capital და Business angels ეკოსისტემის შემდგომ განვითარებას ჩაეყრება საფუძველი. საშუალოვადიან ამოცანად კი უცხოეთიდან საქართველოში ვენჩურული ინვესტიციების მოზიდვა უნდა იყოს განხილული. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს ქართველ სტარტაპებს მიიღონ უფრო მეტი დაფინანსება ადრეულ ეტაპზე მათი განვითარებისთვის.

14. ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირებაში სახელმწიფოს მარეგულირებელ და მმართველობით ფუნქციებში მნიშვნელოვანია მდგრადი ეკონომიკის ფორმირების პრინციპების განხორციელება, მათ შორის გეოპოლიტიკური ფაქტორები,

ეკონომიკური ფაქტორები, გარემოს უსაფრთხოების ფაქტორები, ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ფაქტორები.

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო გადის იმავე გზას, რაც ევროკავშირმა გაიარა ეფექტური ბიზნესგარემოს შესაქმნელად. ევროკავშირის გამოცდილება საქართველოს აძლევს საშუალებას, უფრო სწრაფად მიაღწიოს დასახულ მიზნებს. სამეწარმეო უნარის განვითარება და სათანადო, სრულყოფილი ცოდნის არქონა, ისევე როგორც მცირე და საშუალო მეწარმეების მხრიდან ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, ერთერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც აფერხებს სრულყოფილი ბიზნეს გარემოს შექმნას. სახელმწიფოს აქვს სათანადო მარეგულირებელი ჩარჩო და მმართველობითი ბერკეტი, მოახდინოს სათანადო ცვლილებები და ევროკავშირის გამოცდილების მიხედვით გააუმჯობესოს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო, მიაღწიოს საკუთარი და მოზიდული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, საერთაშორისო ბიზნესურთიერთობების გაფართოებას, მეტ დასაქმებას, მეტ წარმოებას, ჯანსაღ ეკოლოგიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თორაძე სალომე, ლევან ახალაია, გივი ბარამიძე, „სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში - საქართველოში ბიზნესისა და ინვესტიციების პირობები კარგია, საქართველო გამორჩეულია რეგიონში“, მოძიებულია 20 ოქტომბერი, 2023
2. მესხი ირაკლი, „უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში“, სადოქტორო დისერტაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი 2017
3. ნოზაძე გივი „საქართველოსთვის პირველი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდებია“, მოძიებულია 20 ოქტომბერი, 2023
4. შამუგია ეგნატე, „საქართველო ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთის მქონე ქვეყანა“, თბილისი, 2017
5. ტალახაძე მარიამ, „საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში“, თბილისი, 2021
6. შკმარდინა ანასტასია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა“, თბილისი, 2021
7. ჭანია მათა, „მეწარმეობა - მეწარმეობა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოსავალი“, თბილისი 2016
8. ჭითანავა ნოდარ, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა“, თბილისი, 2006;
9. აბუსელიძე გიორგი, ქათამაძე გულიკო, ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N4, გვ: 151-161, თბილისი, 2016
10. ბაიაშვილი თეონა, სავალუტო პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკისათვის; ჟურნალი ეკონომიკა და საბანკო საქმე; ტომი 3, N3. გვ. 42-60. თბილისი, 2015
11. კაპანაძე სერგი, „პირობითობისა და სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკოორდინირებელი შიდა ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში“, სადოქტორო დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2009.

12. დადელიშვილი ნათია, „ქართული ფირმების საექსპორტო საქმიანობის დივერსიფიკაცია ევროკავშირის ბაზრებზე“, სადოქტორო დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. 2016.
13. ვერულიძე ვაჟა, „გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა“, თბილისი. 2012;
14. მექვაბიშვილი ელგუჯა, „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ (ლექციების კურსი), გამომცემლობა თსუ. თბილისი. 2016;
15. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია - კვლევები ეკონომიკაში, „დასაქმების პროგრამები საქართველოში“, თბილისი, 2008.
16. ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის დაბეგვრის თავისებურებანი, ევროკავშირ -საქართველოს ბიზნეს საბჭო, თბილისი. 2008;
17. საქართველო -ევროკავშირის ასოცირების შესახებ გზამკვლევი, თბილისი.2015;
18. ფისკალური პოლიტიკის გავლენის ძირითადი ასპექტები თებერვალი, 2015 წელი, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება მაკროეკონომიკური გარემოსა და საგადასახადო პოლიტიკის ანალიზის განყოფილება.
19. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „საქართველოს და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების საშუალოვადიანი (2021-2023 წლების) სამოქმედო გეგმა. 2020. თბილისი.
20. საქართველოს მთავრობის განკარგულება N536 „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“. 31 მარტი 2016. თბილისი.
21. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში. 2016. თბილისი.
22. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)

განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2016 წლის ანგარიში. 2017. თბილისი.

23. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში. 2018. თბილისი.

24. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში. 2019. თბილისი.

25. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში. 2020. თბილისი.

26. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის №141/04 ბრძანება “ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესის დამტკიცების შესახებ”.

27. Tsintsadze Asie, Vashakmadze Irina, Tavadze Irina, Meloian-Phutkaradze Lili, Perspectives and opportunities of Georgian financial market integration into EU. Economic Science for Rural Development. 131. 2020.

28. Kelmuria Rusudan, „ Tax Reform in Georgia“, Tbilisi, 2011

29. Gelashvili Simon, Abesadze Nino, Abesadze Otari, “Expected trends in trade relations between Georgia and European Union. Folia Pomeranae Universitatis Technologiae Stetinensis. Oeconomica. N.81. 2015.

30. Kobayashi Kiyoshi., Rashid K.Abdul, Furuichi Masahiko., Anderson William.P. “Economic Integration and Regional Development. The ASEAN economic community. Routledge. London and NY. 2018.

31. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. "Medium-term (2021-2023) action plan for the implementation of the Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement (DCFTA) between Georgia and the European Union. 2020. Tbilisi. Eurostat. “The EU in the world. 2020 edition.” Luxembourg. 2020.

32. Annual report on European SMEs 2022/2023
33. Tsintskiladze Inga, "The issue of the development of democratic institutions in Georgia in terms of the European neighborhood policy", doctoral dissertation. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi. 2016.
34. Abuselidze Giorgi., "European Integration of Georgia and Financial-Economic Condition: Achievements and Challenges". European Journal of Sustainable Development. Vol.8. No.1. 2019;
35. Abuselidze Giorgi. Analysis of Performance Efficiency of Legal Entities of Public Law and Non-Profit Legal Entities under the Central and Local Government Bodies: in Terms of the Transformation of Georgia with the EU. Proceedings of the International Conference on European Integration, 23-35, 2020;
36. Cristina Morari., "European Integration of Georgia and the Republic of Moldova: evolution and prospects". Moldoscopie. No. 3(66) . 2014.
37. Loda Chiara. "Georgia, the European Union, and the Visa-Free Travel Regime: Between European Identity and Strategic Pragmatism". Nationalities Papers, 47(1), 72-86. doi:10.1017/nps.2018.7. 2019.
38. Mills Terence.C. "Applied Time Series Analysis. A practical guide to modeling and forecasting". Academic Press. London. 2019.
39. National Statistical Service of Georgia. "Statistical Yearbook of Georgia: 2023". Tbilisi. 2023.
40. National Statistical Service of Georgia. "Statistical Yearbook of Georgia: 2022". Tbilisi. 2022.
41. National Statistical Service of Georgia. "Statistical Yearbook of Georgia: 2021". Tbilisi. 2021.
42. Eurostat. "The EU in the world. 2020 edition." Luxembourg. 2020.
43. Eurostat. "Eurostat regional Yearbook. 2020 edition". Luxembourg. 2020.
44. Eurostat. "Eurostat regional Yearbook. 2019 edition". Luxembourg. 2019.
45. Eurostat. "Eurostat regional Yearbook. 2018 edition". Luxembourg. 2018.
46. Dr. Suba Rao P. "International Business Environment", Himalaya Publ. House. Mumbai. 2008.

47. Dr. Basil Hans V. “Business Environment – Conceptual Framework and Policies”, International Educational Scientific Research Journal. Vol.4. Issue 3. Ahmedabad. 2018.
48. Baldwin Richard, Wyplosz Charles. “The Economics of European Education”. McGraw-Hill Education. NY. 2009.
49. Bedianashvili Givi,, Gogiashvili Shalva, Pavliashvili Solomon, “European Union, Georgia and institutional environmentof competition”. European Cooperation. Vol 5, No.5. 2015.
50. Aroshidze Paata,, Mamuladze Gela,, Gechbaia Badri., Export problems of nationally produced goods in terms of deep and comprehensive free trade area with the EU, BULLETIN of the Kyiv National University of Technologies and Design, 2017;

ინტერნეტ რესურსები:

1. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, თბილისი, 2017
<https://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=7932b932-0eac-4a14-8ebd-9ec6d2409352>
2. შრომით ურთიერთობების შესაბამისობა კანონმდებლობასთან და მისი მნიშვნელობა. მოძიებულია 05 მაისი 2023 წელი.
<https://www.loialte.com.ge/blogs/shromiti-urtiertobebis-shesabamisoba-kanonmdeblobastan-da-misi-mnishvneloba>
3. შრომის რეფორმა - რა შეიცვალა და რა რჩება პრობლემად. მოძიებულია 06 ოქტომბერი 2020 წელი. <https://publika.ge/article/shromis-reforma-ra-sheicvala-da-ra-rcheba-problemad/>
4. პარლამენტში საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის ანგარიში. მოძიებულია 08 სექტემბერი 2022 წელი.
<https://parliament.ge/media/news/parlamentshi-sakartvelos-erovnuli-bankis-2021-tslis-angarishs-mousmines>
5. მონეტარული-პოლიტიკის-განაკვეთის სტატისტიკა. საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/page>
6. საქართველო OECD-ის შეფასებაში „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი 2024“ კვლავაც ლიდერია. მოძიებულია 13 დეკემბერი 2023 წელი. <https://www.economy.ge/?page=news&nw=2424>
7. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2022 წლის ანგარიში <https://www.economy.ge/?page=news&nw=2424>
8. სტატისტიკური ინფორმაცია. მსოფლიო ბანკი <https://data.worldbank.org>
9. რამ განაპირობა საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2023 წლის პირველ ნახევარში? • Forbes Georgia. მოძიებულია 13 ნოემბერი 2023 წელი.
<https://forbes.ge/ram-ganapiroba-saqarthvelos-ekonomikis-zrda-2023-tslis-pirvel-nakhevarshi/>

10. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები. მოძიებულია 19 სექტემბერი 2023 წელი. <https://forbes.ge/saqarthvelos-umskhvilesi-savatchro-partniori-qveqhnebi/>
11. საქართველო ინოვაციების გლობალურ ინდექსში - 2022 წლის შედეგები. მოძიებულია 08 დეკემბერი 2022 წელი. <https://idfi.ge/ge/georgia in the global innovation index 2022>
12. საქართველო ფრეიზერის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში 25-ე ადგილზეა. მოძიებულია 26 სექტემბერი 2023 წელი. <https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-phreizeris-ekonomikuri-thavisuphlebis-reitingshi-25-e-adgilzea/>
13. მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა. მოძიებულია 09 დეკემბერი 2020 წელი. <https://geoeconomics.ge/?p=12805>
14. ინოვაციური პოლიტიკა საქართველოში. [\[https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/410/Innovative%20policy%20in%20Georgia.pdf?sequence=1&isAllowed=y\]](https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/410/Innovative%20policy%20in%20Georgia.pdf?sequence=1&isAllowed=y)
15. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2020 წელი. [\[https://www.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf\]](https://www.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf)
16. The European Observatory for SME, 11th Annual Report 2003. <https://acci.gr/wp-content/uploads/2022/01/SMES-OBSERVATORY.pdf>
17. 2023 Investment Climate Statements: Georgia. <https://www.state.gov/reports/2023-investment-climate-statements/georgia/>